საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 129 (931) პარასკევი, 22 ივლისი, 1994 წელი.

ფასი 15000 კუპონი

ის, აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო თავმჯდომარევ!

წერთ ბატონი პრესტონის სახელით, რათა მადლობა მოგახსენოთ ქვენს მიერ 27 ივნისს გამოგზავნილი წერილისათვის, სადაც გამოხატავდით თქვენს კმაყოფილებას მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების დახმარების მცდელობისათვის. მსურს დავამატო ჩემი პირადი სამადლობელი საქართველოში ჩემი უკანასკნელი ვიზიტის დროს თქვენთან იმ სასიამოვნო შეხვედრისათვის. იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ დავეხმაროთ საქართველოს მისი ეკონომიკური განვითარების გზაზე და დავაჩქარებთ საქართველოს ინტეგრაციას საერთაშორისო ერთობაში.

პარიზში გამართულმა შეხვედრამ დონორთა ერთობისათვის უზრუნველყო საუკეთესო შესაძლებლობა საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შემეცნების საქმეში. მათ გაიზიარეს ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ეკონომიკური სიძნელეები და ისიც შეიტყვეს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს მთავრობა მაკროეკონომიკური სტაბილურობის აღდგენისა და ეკონომიკური განვითარებისათვის რეფორმების განსახორციელებლად. დისკუსიები საქართველოს დელეგაციასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ძალზე გულღია და ნაყოფიერი იყო.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას საქართველოში მსოფლიო ბანკის პროგრამისადმი თქვენი პირადი ყურადღებისათვის და ვისურვებ ჩვენს ხანგრძლივ თანამშრომლობას.

პატივისცემით

ბაზილ კავალსკი,
ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მეოთხე დეპარტამენტის დირექტორი.

გადაეცა რწმუნების სიგელები

20 ივლისს კორეის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში კიმ სოკ კიუმ რწმუნებათა სიგელები გადასცა ედუარდ შევარდნაძეს.

პარლამენტის მიღებათა დარბაზში საზეიმო ცერემონიის შემდეგ გაიმართა ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და ბატონ კიმ სოკ კიუს საუბარი. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ორი წლის წინათ გაფორმებული დიპლომატიური ურთიერთობა ახალ სტადიაში შევიდა. გამოითქვა იმედი, რომ მომავალში კონტაქტები უფრო მეტად ინტენსიური და დინამიკური გახდება.

ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება ჩვენც ნულიდან დავიწყეთ და ბევრ რამეს მივაღწიეთ, ამიტომ გვესმის თქვენი პრობლემები, თანაგიგრძნობთ, მზად ვართ სამყაროს გავუზიაროთ თქვენი ტკივილი და მხარში ამოგიდგეთ, — განაცხადა ბატონმა ელჩმა. კორეის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დიდ პატივად მიიჩნია იმ პოლიტიკოსთან თანამშრომლობა, რომელმაც საკუთარი გაბედული გადაწყვეტილებით საფუძველი ჩაუყარა სამხრეთ კორეისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ ურთიერთობას. ეს ფაქტი დაუვიწყარი მოვლენაა კორეელთათვის და ამიტომ როგორც ელჩმა თქვა, მისი დიპლომატიური პასუხისმგებლობა საქართველოსა და სამხრეთ კორეის წინაშე გაორმაგებულია.

სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ კრიზისიდან თავის დაღწევაში საქართველოს დიდ დახმარებას უწევენ დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნები, რომ დღეს სამხრეთ კორეის საელჩოს დაფუძნება კიდევ ერთი დასტურია ქვეყნის პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსვლისა, რომ დაწყებული დიდი საქმეების კეთება არა მარტო ურთიერთსასარგებლო იქნება ორი ქვეყნისათვის, არამედ თავის წვლილს შეიტანს მშვიდობიანი 21-ე საუკუნის შენებაში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების გაწევის განხორციელება

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 17 ივნისს გაგზავნილ წერილში თხოვნით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების სახით გამოეყო ხორბალი. ბილ კლინტონის საპასუხო წერილში გამოითქვა ამერიკის მთავრობის სურვილი და მზადყოფნა საქართველოს დახმარება გაუწიოს ქვეყანაში არსებული კრიზისული ვითარების დასაძლევად. ასევე დადებითად გადაწყდა თხოვნა ხორბლის გამოყოფის თაობაზე.

20 ივლისს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოდან მივიღეთ ოფიციალური შეტყობინება, რომ ამერიკამ უკვე დაიწყო საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების გაწევის განხორციელება. სავარაუდოდ წლეულს, აგვისტოს შუა რიცხვებიდან, დაიწყება 3500000 ამერიკული დოლარის ღირებულების 100 ათასი ტონა ხორბლის გადმოტვირთვა. აღსანიშნავია, რომ ეს დახმარება ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების უზრუნველსაყოფი სურსათის სამარაგო ხორბლის რეზერვიდან გამოყვეს და მომავალი დახმარების დაახლოებით ნახევარს შეადგენს. ხორბლის გადმოტვირთვა მოხდება 6 გემის საშუალებით და ერთ თვეს გასტანს. 25 ივლისს დეტალების დასაზუსტებლად და ხელშეკრულების ხელმოსაწერად საქართველოში ჩამოვლენ ამერიკის მხარის ოფიციალური წარმომადგენლები.

შეხვედრა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან

20 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის დელეგაცია — ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე თეიმურაზ კუსოვი, უმაღლესი საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე იური ადაკოვი და მიგრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ანატოლი აჩმაზოვი.

დელეგაციის ხელმძღვანელმა თეიმურაზ კუსოვმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნო მის რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები და თქვა, რომ „მისი მოგზაურობა სამხრეთ ოსეთში იმის საფუძველს იძლევა, რომ მოსახლეობაში მომწიფებულია მშვიდობიანი ცხოვრების სურვილი, რაც უცილობლად ხელს შეუწყობს არსებული კონფლიქტის მოგვარებას“. ბატონმა კუსოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლება მზადაა აქტიური და პოზიტიური როლი შეასრულოს ქართულ-ოსურ მოლაპარაკებაში. იგი იმედოვნებს, რომ კონფლიქტის სწრაფი მოგვარება აღადგენს ძველ კონტაქტებს, ხელს შეუწყობს ახალი ურთიერთობის ჩასახვას.

მხარეებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრის პერსპექტივების შესახებ, აღინიშნა აუცილებლობა კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობის იმ ფორმის დამკვიდრებისა, რომელსაც „კავკასიურ დიალოგს“ უწოდებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში მრავალი, ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის სტრუქტურათა აღდგენის პროცესი მიმდინარეობს, დაიწყო პროცესი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა. სახელმწიფოს მეთაური მიესალმება ყველას, ვინც დადებით როლს შეასრულებს ამ პროცესების მიმდინარეობაში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

აჭარის საზოგადოებრიობის მიმართვის პასუხად

როგორც ცნობილია, 1994 წლის 12 ივლისს შეკრებაზე აჭარის საზოგადოებრიობამ მიიღო მიმართვა სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მოსახლეობისადმი.

მიმართვაში აღნიშნული ფაქტების შესწავლის მიზნით მინისტრთა კაბინეტის 20 ივლისის სხდომის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამთავრობო კომისია ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით. იმავე დღეს გაიმართა აღნიშნული კომისიის პირველი სამუშაო თათბირი.

როგორც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსმა იგორ გიორგაძემ განმარტა, ოპერატიული ვითარება აჭარის ცალკეულ რეგიონებში სტაბილურია, მაგრამ საჭიროა დაზუსტდეს ობიექტური რეალობა. მწერალმა ლაშა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ აჭარაში დაინტერესებული პირები ავრცელებენ ჭორებს, აზვიადებენ უმნიშვნელო მოვლენების ფაქტებს. აღინიშნა, რომ შემოქმედებითმა ინტელიგენციამ მეტი სიცხადე უნდა შეიტანოს აჭარაში არსებულ საერთო ვითარებაში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური

საქართველოსა და რუსეთის საქმიანი წრეები:

თანამშრომლობის ახალი ეტაპი

საქართველოს ეკონომიკა ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა და ვითარდებოდა რუსეთის სტრუქტურასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით. ყოფილი კავშირის დაშლის შემდეგ მეტისმეტად ადვილად იწყო რღვევა მოგვარებულმა ურთიერთობამ, წარმოიშვა სერიოზული პრობლემები ნედლეულით, მასალებით, მაკომპლექტებელი ნაწარმით, ტრანსპორტით, ფინანსებით საწარმო-ორგანიზაციათა მომარაგების საქმეში... ამან და ბევრმა სხვა რამემ წარმოშვა ინტენსიური კრიზისი სახალხო მეურნეობაში, ძირი გამოუთხარა ეკონომიკას.

შექმნილი სიტუაციისა და ურთიერთინტერესების გათვალისწინებით, ორი სახელმწიფოს მეთაურების დონეზე მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და ხელმოწერილია შესაბამისი ხელშეკრულებანი რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. მათი წარმატებული რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ახალ, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე პარტნიორობის რაც შეიძლება მალე მოგვარებაზე, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინვესტიციების შესახებ რუსეთ-საქართველოს კონფერენციის მიზანია. იგი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით გაიხსნა 21 ივლისს თბილისში.

მის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ.**

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სახელით კონფერენციის მოწყობის იდეის აქტიური მხარდამჭერისათვის საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს დიდი მადლობა მოახსენა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ ჟვანიამ.** მან შეკრებილთ გააცნო რუსეთის დელეგაციის შემადგენლობა, რომელთა შორის არიან რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის წამყვანი დარგების — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საკრედიტო-საფინანსო სისტემის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, ტურიზმისა და საკურორტო ინდუსტრიის, მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვათა ხელმძღვანელები.

ფორუმის მონაწილეებს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის სახელით მიესალმა რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ვლადიმერ ზემსკი.**

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური ურთიერთობის მდგომარეობისა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **ოთარ ფაცაციამ.**

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამეგობრობის განვითარების ახალ ეტაპზე საქმიანი წრეების აქტიურობის ამაღლებას მიუძღვნა გამოსვლა რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა, მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესის თავმჯდომარე-კოორდინატორმა **არკადი ვოლსკიმ.**

კონფერენციაზე მოისმინეს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის **იოსებ ბაჩიაშვილის** ინფორმაცია „საქართველოს საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“.

დღის მეორე ნახევარში კონფერენცია მუშაობდა დარგობრივ და თემატიკურ სექციებში.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის—სახელმწიფოს მეთაურის

ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!
ძვირფასო სტუმრებო!

რესპუბლიკის ახალი მასობრივი დემოკრატიული მოძრაობის — საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით მოწვეული რუსეთ-საქართველოს შეხვედრა ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინვესტიციების საკითხზე, დღეს მუშაობას იწყებს თბილისში.

რუსეთისა და საქართველოს მეწარმეთა კონფერენცია იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ორი დამოუკიდებელი, მეგობარი სახელმწიფოს საწარმოთა შორის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობის საბაზრო საფუძველზე აღდგენის გზაზე. **ორივე ქვეყნის სამეურნეო მუშაკთა მისწრაფება, ხელსაყრელი ურთიერთობა განპირობებულია არა მარტო პარტნიორობის კეთილი ტრადიციებით, არამედ ობიექტური საჭიროებითაც** — ერთობლივი ძალისხმევით ეძებონ იმ მწვავე პრობლემების გადაჭრის გზები, რომლებსაც წააწყდნენ ძირფესვიანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას. სიძნელენი, რომლებიც, ბუნებრივია, წარმოიქმნა ეკონომიკური წყობის საფუძვლიანი სტრუქტურული და სისტემური გარდაქმნის დროს, ბევრად გააძლიერა მტკივნეულმა პროცესებმა, სსრ კავშირის დაშლას რომ სდევდა თან და გამოიწვია არა მარტო სახელმწიფოთაშორისი უთანხმოებანი ცნობილ პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ სამეურნეო კავშირურთიერთობის სწრაფი რღვევაც. ეკონომიკური ურთიერთგაუცხოება მეტად საგრძნობი გამოდგა საქართველოსათვის, რომლის **ექსპორტისა და იმპორტის დაახლოებით ორი მესამედი რუსეთზე მოდიოდა.**

დღეს, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური პრობლემების ურთიერთმისაღები მიდგომების ორწლიანი ძიების, ამა წლის დამდეგს საქართველოში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ-ნ ელცინის ვიზიტის დროს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადების შემდეგ, მზადდება ურთიერთეკონომიკური შეღწევის ხელშემწყობი პირობები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობით აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ღონისძიებათა დაწყების, ეგრეთ წოდებული ოსური პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის ნიშნების გაჩენის შემდეგ მტკიცე საფუძველი ექმნება საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის, კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღების პროცესებს. საქართველოს საზოგადოებრიობაში სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს აზრი, რომ რუსეთის ხელმძღვანელობის, რუსეთის სახელმწიფოს ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობაში განმსაზღვრელია საერთო სტრატეგიული ინტერესებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის მნიშვნელობის გაგება.

რუსეთშიც რწმუნდებიან, რომ ქართველი ხალხი უკვე აღარ ადგას მძლავრი ჩრდილოელი მეზობლისაგან იზოლაციის კურსს, რომელთანაც თანხვედრი ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანები აკავშირებს.

საგულისხმოა, რომ ერთობლივი კონფერენციის გამართვის იდეა შეექმნათ არა მარტო რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკოსებს, არამედ სამეურნეო მუშაკებსაც. რომლებიც უაღრესად დიდად არიან დაინტერესებულნი, რომ განმტკიცდეს და განვითარდეს ზემოაღნიშნული კეთილმეზობლური ტენდენციები, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. მეორე მხრივ, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენ მძლავრია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესები, რომელთა განვითარებას მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესებისათვის ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკურმა კავშირმა. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ პოტენციალი. რომელიც არის ეკონომიკურ კავშირში, ჯერჯერობით პრაქტიკულად ნაკლებად არის გამოყენებული, ასევე ეკონომიკური კავშირის დებულების რიგი მნიშვნელოვანი პრინციპები ჯერჯერობით წმინდა დეკლარაციად რჩება. ასეთი მდგომარეობის დაძლევას ხელი უნდა შეუწყოს ამ კონფერენციამაც. თუ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგება. ჩვენ კი ამის იმედი გვაქვს, — შემდგომი ჩვენი შეხვედრა გაფართოვდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიდან მონაწილეთა ხარჯზე.

გამოთქმული იმედის საფუძველია არა მარტო რუსეთის უდაო წინსვლა ეკონომიკის სტაბილიზაციისაკენ, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის პროცესში, წამყვანი განვითარებული ქვეყნების შვიდეულის მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე მისი მნიშვნელოვანი გავლენის თვალსაჩინო აღიარება, არამედ საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების უკვე მკაფიოდ გამოხატული ტენდენციებიც.

უწინარეს ყოვლისა. კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მინდა მივაპყრო საკუთრების განსახელმწიფოებრიობის პროცესების განვითარებას. პრივატიზაციის პროგრამამ მოიცვა სახელმწიფო საკუთრების დაახლოებით 5 ათასი ობიექტი, მათგან ჩვენი გაგებით 900 მსხვილი და საშუალო საწარმოს აქციონირება მოხდება. დაახლოებით ერთი წლის მანძილზე კერძოთა ხელში გადავა განსახელმწიფოებრიობას მიკუთვნებული ობიექტების დაახლოებით მესამედი. მაგრამ ასეთი ტემპი ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებდა, განსაკუთრებით ყოვნდებოდა სამრეწველო საწარმოთა აქციონირება. ამასთან დაკავშირებით, მაისის დამლევს გამოიცა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ. დასახულ ღონისძიებებში მთავარია გაძლიერდეს შრომითი კოლექტივების უფლებები იმ საფუძველზე, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უშუალოდ შეიძინონ აქციების საკონტროლო პაკეტი და ნება მიეცეთ აქციათა ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი საპრივატიზაციო ჩეკებით (ვაუჩერებით) დაფარონ.

გაფართოვდა ადგილობრივი მართვის ორგანოების უფლებები მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციაში.

ბოლო ხანს გამოცოცხლდა მუშაობა საბაზრო ეკონომიკის საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის. უკვე მიღებულია ფუძემდებლური ხასიათის ორმოცდაათამდე კანონი, დამუშავების პროცესშია 60-ზე მეტი კანონპროექტი. ამ პროცესის დაჩქარებისათვის საბაზრო მეურნეობის ჩამოყალიბების სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურს მიანიჭა უფლებამოსილებანი ეკონომიკის დარგში მიიღოს საკანონმდებლო აქტები, დეკრეტები და ბრძანებულებები. ამ უფლებამოსილებებს სულ უფრო აქტიურად ვიყენებთ.

აღნიშნული პროცესების დაჩქარებისა და ორიენტირების ბიძგად იქცა წლეულს თებერვალში დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამა, რომელსაც საფუძვლად უდევს რეკომენდაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისა, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ საქართველოსთანაც და რუსეთთანაც.

ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა ვაშინგტონში ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობასთან ჩემი პირადი შეხვედრების შემდეგ. ახლახან პარიზში გამართულ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დონორი ქვეყნების სხდომაზე საქართველოს გამოუყვეს საინსტიტუციო სესხი. სადაცაა საბოლოოდ გადაწყდება საქართველოსათვის სასტაბილიზაციო და სარეაბილიტაციო კრედიტების მიცემის საკითხები. ყოველივე ეს გვაიმედებს, რომ თანდათანობით შემცირდება ინფლაციის ტემპი, შეჩერდება წარმოების დაქვეითება, შენელდება კრიზისის პირობებში გამწვავებული სოციალური პრობლემები.

ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ყველა უპირატესობა და სარგებლობა რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობისა, რაც ახლა აღორძინების გზას ადგას. დიახ, ასეთი აღორძინების ნიშნები არის. მაგრამ, ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობის ახლანდელი მასშტაბი სრულიადაც არ არის საკმარისი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ყალიბდება ჩვენთვის სავაჭრო ბალანსი. 1991 წელს რუსეთიდან იმპორტი შეადგენდა რუსეთში ექსპორტის 76 პროცენტს, 1992 წელს — 43 პროცენტს, 1993 წელს კი — სულ 39 პროცენტს. სავაჭრო ურთიერთობის ასეთი შეუსაბამობა იმის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია, რომ საშინაო ბაზარზე საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი ბრუნვიდან გააძევა რუსულმა რუბლმა, რომლის მოზღვავება, სხვა მიზეზებთან ერთად, იზრდება ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის შეუწონასწორებლობის გამოც.

შექმნილი ვითარების სერიოზული მიზეზი, სხვა ფაქტორების გარდა, არის სიძნელენი ურთიერთგადახდაში, ჭერჭერობით შორის არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის საგადამხდელო კავშირისა თუ სავალუტო კავშირის შესახებ ხელშეკრულების დადება. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი დაიდოს ორმხრივი სავალუტო შეთანხმებანი, რომლის მექანიზმი იქნება რუბლისა და საქართველოს ეროვნული ვალუტის ურთიერთკონვენტირებადობა. შექმნილი ვითარებიდან გარკვეულ გამოსავლად მიგვაჩნია კლირინგული შეთანხმებების ან პირდაპირი კოოპერირებული კავშირურთიერთობის განვითარება, რომლებიც შეიძლება იყოს გარდამავალი ეტაპი საქონლის, კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალი მოძრაობის გზაზე. ამის სამართლებრივი საფუძვლები არსებობს: რუსეთისა და საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულებანი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ და აღნიშნულ დარგში სხვა საკითხებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების შეთანხმება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თანამშრომლობა საინვესტიციო სფეროში. საქართველო ამჟამად განიცდის მწვავე ინვესტიციურ შიმშილს. პირს რუსეთშიც, მაგრამ ამ დარგში თანამშრომლობის რეალური პერსპექტივები მაინც არსებობს.

თანამედროვე რეალიებისა და ტენდენციების გათვალისწინებით ფრიად პერსპექტიულად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ინტეგრაციული ფორმების განვითარება, როგორიც არის ტრანსეროვნულ კომპანიათა შექმნა. საქართველოში გამოიძებნება მათი საქმიანობის ვრცელი ასპარეზი.

უწინარეს ყოვლისა, წარმოების მოცულობის მკვეთრი დაქვეითების, რიგი ობიექტების ფუნქციონირების შეჩერების მიუხედავად, რესპუბლიკამ შეინარჩუნა სამრეწველო პოტენციალი, საწარმოო სიმძლავრენი და კვალიფიციური მუშახელი იმ საწარმოებში, რომლებშიც სერიოზული პარტნიორები და მომწოდებლები იყვნენ რუსეთის საწარმოებისათვის ჩვენია. უწინარეს ყოველისა, მანქანათსაშენებელი და ელექტროტექნიკური საწარმოები, მსუბუქი მრეწველობა და სხვები.

საქართველოში მინერალ-სანედლეულო რესურსების დაახლოებით 300 საბადოა, მაგრამ მათი ნახევრის ექსპლოატაცია თუ წარმოებს. რესპუბლიკაში ნავთობის 11 საბადოა, რომლებმაც დააინტერესა საზღვარგარეთის ბიზნესმენები, მანგანუმის მადნის საბადოების 215 მილიონი ტონა მარაგით, ქვანახშირის საბადოები, აგრეთვე ბარიტის, დიატომიტის, დარიშხანის, ცემენტის მრეწველობის. საშენი მასალების, მოსაპირკეთებელი ქვების, მარმარილოს, ფოროვანი შევსებებისა და სხვათა საბადოები. ჰიდროენერგეტიკული რესურსების პოტენციალი 60 მილიარდ კილოვატსაათს აღწევს, აქედან სადღეისოდ სულ 12 პროცენტია გამოყენებული.

ცნობილია ჩვენი სარეკრეაციო რესურსები — 2300 მინერალური წყარო, მტკნარი და გეოთერმული წყლების დიდი მარაგი.

მეტად მნიშვნელოვან სარესურსო პოტენციალად მიგვაჩნია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც გამოიხატება ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის როლით. ძნელია გადაჭარბებლად შეფასდეს საქართველოს ნავსადგურების მნიშვნელობა ამიერკავკასიისა და თვით ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკისათვის. ისინი უინტერესო არც რუსეთის ეკონომიკისათვის უნდა იყოს.

ამ შესაძლებლობათა რეალიზაცია უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული საინვესტიციო პროექტების სახით, რომლებსაც კონფერენციის მონაწილენი სექციების მუშაობის დროს განიხილავენ. ისინი შეიძლება გახდეს შემდგომი ერთობლივი დამუშავების საგანი კონფერენციის შემდეგაც.

მნიშვნელოვან ეფექტს მოგვცემდა ისიც, თუ განვახორციელებთ რიგ ერთობლივ პროგრამებს მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლების შესახებ, აგრეთვე თუ ერთობლივად გავუწევთ ექსპლოატაციას ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებს. კერძოდ, სწრაფად ანაზღაურდება იმის ხარჯები, თუ:

— დამთავრდება რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეკონსტრუქცია იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ნავთობის ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი მილების წლიური გამოშვება, რომლებზეც რუსეთის ნავთობმომპოვებელ საწარმოთა მნიშვნელოვანი მოთხოვნაა;

— განხორციელდება ქუთაისის ლითოფონის ქარხნის, ყოფილი სსრ კავშირის ერთადერთი საწარმოს, რეკონსტრუქცია, რომელიც ბუნებრივი ლითოფონიდან აწარმოებს ძვირფას ნედლეულს ლაქსაღებარი წარმოებისათვის და სხვა ნაწარმს;

— შევქმნით საქართველოს მანქანათსაშენებელი ქარხნების ბაზაზე ისეთი ნაწარმის გამომშვებ ერთობლივ წარმოებებს, როგორიც არის ქლმავლები, ტროლეიბუსები, ჩქაროსნული უხმაურო ტრამვაი — თბილისის ელმავალსაშენებელ გაერთიანებაში, ს-96 ტიპის ადმინისტრაციულმინიატურული თვითმფრინავები თბილისის საავიაციო ქარხანაში და სხვ.

— წელიწადში 700 მილიონი სიმძლავრის ერთჯერადი შპრიცების, აგრეთვე სხვა სპეციალური სამედიცინო ტექნიკის ქარხნის მშენებლობის დამთავრება და მისთვის მოწყობილობის მიწოდება (ქ. მარნეული). პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა და უნდა გაეგზავნოს რუსეთს, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს.

რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შეუძლიათ ეფექტიანად ითანამშრომლონ ენერგეტიკის დარგში, თუ:

— გაიზრდება ენერგეტიკული ქვანახშირის მოპოვება ტყიბულის საბადოში 1,2-1,5 მილიონ ტონამდე და აშენდება თბოელექტროსადგური დასავლეთ საქართველოში ტყიბულის ქვანახშირის ბაზაზე;

— უფრო სრულად ავითვისებთ საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს მდინარე ენგურზე 700 მილიონი ვატი ძაბვის ხუდონჰესის მშენებლობის განახლების გზით, აგრეთვე ავაშენებთ 450 მილიონი ვატი სიმძლავრის ნამახვანის ჰესის კასკადს, სადაც შესრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

ფრიად მრავალფეროვნად მიგვაჩნია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესაძლებლობანი სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის განვითარებისა და ექსპლოატაციის დარგში. კერძოდ, რუსეთის მხარეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფოთისა და ბათუმის სანავსადგურო მეურნეობათა განვითარება-მოდერნიზაციაში;

— საქართველოს ტერიტორიაზე მაგისტრალური რკინიგზის ხაზების მოქმედების აღდგენაში დაფინანსების, შეღავათიანი დაკრედიტებისა და საგზაო ნაგებობებისა და სალიანდაგო მეურნეობის მოწყობილობის დაკომპლექტების გზით. საქართველოს რკინიგზის აღდგენა რუსეთის მხარეს შესაძლებლობას მისცემს განაახლოს შეწყვეტილი მიმოსვლა სამხრეთის მიმართულებით;

— ყარს-ვალეს რკინიგზის ხაზის მშენებლობაში, რაც შექმნის თურქეთიდან, უკრაინის, ბელარუსისა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით ტვირთნაკადის ტრანზიტით გაშვების შესაძლებლობას;

— თბილისი-ვალე-ყარსის გაზსადენის მშენებლობაში იმ პირობით, რომ რუსეთს ექნება შესაძლებლობა გაიტანოს გაზი თურქეთში ან მიიღოს შემოსავალი თურქმენეთიდან გაზის ტრანზიტის გაშვების მეშვეობით;

— რუსეთ-საქართველო-თურქეთის ნავთობსადენის მშენებლობაში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს რუსეთისა და ყაზახეთის ნავთობის მიწოდება ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ეს საკითხი საკმაო მნიშვნელობას იძენს იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთში შემოღებულია შეზღუდვები ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში დიდტვირთიანი ტანკერების გაშვების დროს.

თავის მხრივ საქართველოს, რომელსაც აქვს თავისუფალი შრომითი რესურსები და ჰყავს კვალიფიციური მუშახელი, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნავთობის ერთობლივ საწარმოთა შექმნასა და ხე-ტყის დამზადებაში.

არის აგრეთვე საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციების რუსეთის სხვადასხვა რეგიონის სამშენებლო პროგრამათა განხორციელებაში მონაწილეობის გაფართოების შესაძლებლობა.

საქართველო იყო და უნდა დარჩეს რუსეთის ბაზარზე ისეთი ძვირფასი კულტურების უმნიშვნელოვანესი მიმწოდებელი, როგორიც არის ჩაი, ციტრუსი, ხილი, მაღალხარისხოვანი ღვინოები, კონიაკის ნაწარმი, მინერალური წყლები, კონსერვები, თამბაქოსა და სხვა პროდუქცია.

ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შეადგენს აგრარული ბაზრის მაქსიმალური ათვისება, ცალკეული დარგების ინტეგრირება ერთობლივ საწარმოთა შექმნის საფუძველზე. ამ პროცესის დაწყებას ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის ტერიტორიაზე არსებულმა საქართველოს გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა (ღვინის ქარხნებმა.)

აუცილებელია აღინიშნოს, რომ განვითარებადი რუსეთის აგროსამრეწველო კომპლექსი დაინტერესებულია დანერგოს საქართველოს მანქანათმშენებელთა ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები გადამამუშავებელი დარგებისათვის.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგში უფრო სრული რეალიზაციისათვის უნდა შევიმუშაოთ შესაბამისი სახელმწიფოთაშორისი პროგრამა.

უკეთ უნდა გამოვიყენოთ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. მიღწეულია უნიკალური შედეგები მეცნიერების ბევრი მიმართულებით. მათი ერთობლივი გამოყენება გაამდიდრებს ჩვენი ეკონომიკების შემდგომი ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

კურორტები და ტურიზმი — გაუტეხელი ყამირი, საქმიანობის ვრცელი ასპარეზია. უნდა ავაღორძინოთ და განვავითაროთ ეკონომიკისა და სერვისის ეს სფერო და ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სტანდარტებამდე ავიყვანოთ.

მიზანშეწონილია უკეთ გამოვიყენოთ მრავალმხრივი თანამშრომლობის არსებული შესაძლებლობანი. რუსეთისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ განვითარებული ქვეყნები. იზრდება ინტერესი საქართველოს ეკონომიკური პოტენციალისადმიც. ამ პირობებში იქმნება უნიკალური შესაძლებლობანი ორმხრივი, სამმხრივი, ოთხმხრივი, მრავალმხრივი კონტრაქტების, პროექტების, შეთანხმებების შემუშავებისა და დადებისათვის.

ბევრია სხვა პრობლემებიც. რომელთა განხილვა საჭირო და აუცილებელია.

გისურვებთ წარმატებას ყველა თქვენგანს და წარმატებულ მუშაობას თქვენს კონფერენციას!

გმადლობთ, ყურადღებისათვის!

მერვე სვეტი

მიღება პარლამენტში

წელიწადი შესრულდა რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების დაარსების დღიდან, რომლის შექმნის ინიციატორი და თავმჯდომარეა საქართველოს პარლამენტის წევრი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტო ასამბლეის კომისიის თავმჯდომარე ქართლოს ღარიბაშვილი.

ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით 21 ივლისს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ გამართა მიღება, რომელზეც მოწვეული იყვნენ რუსეთის საელჩოს მრჩეველი — დესპანი ვიქტორ არხიპოვი, საელჩოს სხვა პასუხისმგებელი პირები, რუსეთის ჯარების დაჯგუფების მთავარსარდალი ამიერკავკასიაში თეოდორ რეუტი, რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების თავმჯდომარე იური ბოგომოლოვი, რუსული ეკლესიის წინამძღოლი მამა მიხეილი. საქართველოს საპატრიარქოს არქიმანდრიტი იოაკინი.

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ წაიკითხა მისალმების ტექსტი. წმინდა მამებმა დალოცეს შეხვედრის მონაწილეები და იმედი გამოთქვეს, რომ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა რუსი და ქართველი ხალხისა ურღვევი იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატები — საქართველოს

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ვაშინგტონში ვიზიტისას წლეულს მარტში, გადაწყდა მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის პირველ ეტაპზე შეღავათიანი, 35-წლიანი კრედიტის გამოყოფა 10 მილიონი დოლარის ოდენობით.

აღნიშნულზე ბანკის ადმინისტრაციამ 20 ივლისს ოფიციალურად აცნობა საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს გაეროში, ბატონ პეტრე ჩხეიძეს, რომ კრედიტი სამი მიმართულებით გამოყენებისთვის არის გამიზნული: საფინანსო სისტემის რეფორმა; ეკონომიკური მენეჯმენტის განვითარება; პრივატიზაციის პროგრამის განხორციელება.

და კიდევ ერთი ცნობა: მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ განიხილა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიმართვა, პრაქტიკულად გადაწყდა 18,5 მილიონი დოლარის ღირებულების დამატებითი 100 ათასი ტონა ხორბლის მოწოდების საკითხი.

ამის შესახებ პრეზიდენტ ბილ კლინტონის მიერ განკარგულების გაცემის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა ადმინისტრაციამ. ხორბლის შემოზიდვა აგვისტოში დაიწყება.

„იბერიის“ ლენტიდან

ცხინვალი. ერთობლივი განცხადების, რომელიც ვლადიკავკაზში, მიმდინარე წლის 14 ივნისს ევროთათბირის მისიის ინიციატივით იქნა მიღებული, მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ ოთხივე მხარემ (საქართველოს რესპუბლიკა, გაერო, რუსეთი, ოსური მხარე) ერთობლივად უნდა შექმნას მატერიალური და იურიდიული ბაზა ქართველ და ოს ლტოლვილთა დასაბრუნებლად თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.— ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად უკვე დაიწყო მუშაობა.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 20 ივლისის სხდომის გადაწყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი ვლადიმერ რამიშვილი დამტკიცდა იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

თბილისი. 20 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომამ დაამტკიცა არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის, აგრეთვე საგარეო საქმეთა კომიტეტის კოლეგიები.

ᲒᲐᲦᲠᲛᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო კორეის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში კიმ სოკ კიუ და მისი თანმხლები პირები — საელჩოს მეორე მდივანი შინ სუნ ვონი და ელჩის მრჩეველი სანგ ჩუ ლი.

პარლამენტის სპიკერმა სტუმრებს გააცნო რესპუბლიკაში არსებული ვითარება და განაცხადა, რომ საქართველო კორეის რესპუბლიკისათვის სასურველი პარტნიორი გახდება.

ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ ერთ დროს კორეა ყველაზე ღარიბი ქვეყანა იყო, მაგრამ ხალხის თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. მან იგივე უსურვა ქართველებს და იმედი გამოთქვა, რომ თავისი მოღვაწეობით ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას, საქართველოსთან თანამშრომლობით უცხოელი ბიზნესმენების დაინტერესებას.

* * *

20 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ მიიღო კორეის რესპუბლიკის დელეგაცია საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რუსეთის ფედერაციაში კიმ სოკ კიუს ხელმძღვანელობით.

ბატონმა თემურ ბასილიამ მოახსენა სტუმარს, რომ საქართველოში მიესალმებიან უცხოელ ბიზნესმენებთან თანამშრომლობას და გააცნო მას თუ რამდენად მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტორებისათვის საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება უბაჟო ვაჭრობის შესახებ.

დელეგაცია დაინტერესდა საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, კერძოდ ელექტრონული და გამოთვლითი ცენტრებით.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ — ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 15 ივლისის 138 განკარგულების შესრულებისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა 1994 წლის 12 ივლისის შეკრების მონაწილეთა მიმართვაში აღნიშნული ფაქტების შესწავლისა და ოპერატიული რეაგირების მიზნით შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ავთანდილ მარგიანი — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

იგორ გიორგაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

ლაშა თაბუკაშვილი — დრამატურგი (კომისის თავმჯდომარის მოადგილე);

ჯამლეთ ბაბილაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი;

ზვიად ბეჟანიძე — აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;

ილია გვარიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მართლწესრიგის, თავდაცვის, უშიშროებისა და საგანგებო სიტუაციების საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

შოთა ზოიძე — აჭარის მწერალთა კავშირის მდივანი;

ალბერტ თავხელიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

დავით იაკობიძე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

შოთა კვირაია — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

ნოდარ ლომოური — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

დავით მაღრაძე — საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი;

ბადრი ნაკაშიძე — საქართველოს პარლამენტის წევრი;

დავით სალარიძე — საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის უფროსი;

ლევან სანიკიძე — მწერალი;

ალექსანდრე ტალიაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

გურამ ფანჯიკიძე — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;
ალექსანდრე ფაღავა — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

ნუგზარ ქავთარაძე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მართლწესრიგის, თავდაცვის, უშიშროებისა და საგანგებო სიტუაციების საკითხთა წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი;

ჯემალ ჯაყელი — სრულიად საქართველოს ასოციაცია „მესხეთის“ პრეზიდენტი, მწერალი.

2. კომისიამ გაწეული მუშაობის შედეგები და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მოახსენოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ორი კვირის ვადაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
Ო. ᲞᲐᲢᲐᲨᲘᲐ.

ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, **1994 წლის 20 ივლისი.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მეტროპოლიტენის შემდგომი ფუნქციონირებისა და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად და იმის გათვალისწინებით, რომ მეტროპოლიტენი არის დედაქალაქის საარსებო მნიშვნელობის ობიექტი და მოსახლეობისათვის ერთადერთი ძირითადი სატრანსპორტო საშუალება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენის დაფინანსება 1994 წლის 1 ივლისიდან განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 13 მაისის 364 დადგენილების 3 დანართიდან ამოღებულ იქნეს ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს 1994 წლის მეორე ნახევრის საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენისათვის დოტაციის თანხის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
Ო. ᲞᲐᲢᲐᲨᲘᲐ.

ᲞᲝᲔᲢᲡ ᲣᲠᲧᲔᲕᲐᲓ ᲡᲯᲔᲠᲐ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩვენმა მკითხველმა იცის, ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა შეხვედრა ცნობილ პოეტთან ბულატ ოკუჯავასთან. პოეტმა მისალოცი წერილი გამოგზავნა საქართველოში. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ წერილის ტექსტს.



Желаю Грузии
независимости политической
и тесной связи с культурной
Россией, Эдуарду Шевард-
надзе — исполнить свой долг,
во что верю непоколебимо
Б Окуджава
15 7. 94

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ვუსურვებ დამოუკიდებელ პოლიტიკურ და მჭიდრო კავშირს კულტურულ რუსეთთან, ედუარდ შევარდნაძეს — შეასრულოს თავისი მოვალეობა, რისაც ურყევად მჯერა.

ᲑᲣᲚᲐᲢ ᲝᲙᲣᲯᲐᲕᲐ.
1994 წლის 15 ივლისი.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ სააგენტო „იბერიამ“ გაავრცელა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან ბოლო ხანს დაითხოვეს 300-მდე ოფიცერი, ხოლო მომავალში დაგეგმილია ოფიცერთა კადრების შემცირება კიდევ 200-მდე ოფიცრით“.

ამ ერთი შეხედვით უწყინარ ცნობაში, ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომა, რაც ეჭვქვეშ აყენებს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე საკადრო რეფორმების არსს და იგი მხოლოდ ოფიცერთა დათხოვნა-შემცირების დონეზე დაჰყავს.

რეალური ვითარება კი სულ სხვაგვარია, რის თაობაზეც ვრცლად და გასაგებად ისაუბრა თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ ამასწინანდელ ტელეინტერვიუში.

მათთვის, ვინც ერთი მოსმენით ვერ ან არ გაიგო თავდაცვის მინისტრის ნათქვამი, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ შეიარაღებულ ძალებში დაწყებული საკადრო შემცირება ძირითადად შეეხება თავდაცვის სამინისტროს გაბერილ აპარატს და სხვადასხვა სახეობათა ჯარების მმართველობით სტრუქტურებს. როგორც ჩანს, ზოგიერთებს წარმოდგენაც არა აქვთ, რომ თავდაცვის სამინისტროს აპარატში ოფიცრების გარდა დასაქმებული იყვნენ დიდი რაოდენობით რიგითები და სამოქალაქო პირები. იგივე სიტუაცია იყო სხვადასხვა სახეობათა ჯარების მმართველობის სტრუქტურებში. სამხედრო ნაწილებში, სადაც, ფაქტობრივად, ქაღალდზე არსებობდნენ ოცეულები, ასეულები, ბატალიონები, რომელთა შესანახად იხარჯებოდა ქვეყნის გაღატაკებული ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სწორედ ამ საკადრო ქაოსის მოსაწესრიგებლად დაიწყო რეფორმა, რომელიც დღესაც გრძელდება.

რაც შეეხება ოფიცრებს, რომელთა ხვედრითი წილი იმ 200-300 კაცში ერთობ მცირეა, ისინი არავის დაუთხოვია. ზემოხსენებულ ტელეინტერვიუში გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თითოეულ ოფიცერს, რომელიც საკადრო რეფორმის დროს შემცირებაში მოჰყვა, თანამდებობრივად გადააადგილებენ მათი პროფესიული გამოცდილების მიხედვით ან სთავაზობენ სამსახური განაგრძონ სამხედრო ნაწილებში.

ასე რომ, ცვლილებათა არსი, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: მცირე, მაგრამ კვალიფიციური მმართველობა და ბრძოლისუნარიანი, მატერიალურად უზრუნველყოფილი, თანამედროვე დონეზე გაწვრთნილ-აღჭურვილი სამხედრო ნაწილები.

19 ივლისი, 1994 წელი.

ᲞᲔᲠᲛᲐᲜᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ,

ᲐᲜᲣ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲚᲔᲡᲢᲐᲙᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘ

ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ სიმპათიური მანდილოსანი ზის და ციფრებს ჩაჰკირკიტებს. დირექტორი რომ მოვიკითხეთ, მალე მოვაო. გვითხრა და მორიდებით გვკითხა:

— თქვენც, ალბათ, შემოწმებაზე იქნებით?

არაო, რომ ვუპასუხეთ, მოიბოდიშა:

— არ გაგიკვირდეთ, უცხოს რომ დავლანდავთ, ყველა რევიზორი გვგონია. ძალიან შემოგვეჩვივნენ, ერთ დღესაც არ გვტოვებენ „უყურადღებოდ“, მათ სამსახურს ვუნდებით, მოვალეობის შესასრულებლად დრო აღარ ვვრჩება.

იმ ქალბატონს სხვებმაც კვერი დაუკრეს, მეტისმეტია, თუ ასე გაგრძელდა, კარებს გამოვიკეტავთ და წავალთ, სხვა გზა აღარ დაგვრჩაო.

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა საკავშირო განათლების სისტემაში შედიოდა და ყველაფერი წინასწარი გეგმით ხორციელდებოდა, დოკუმენტური რევიზია სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მეურნეობა რესპუბლიკის განათლების სისტემაში გადავიდა და აგრარული უნივერსიტეტის გამგებლობაშია. უნივერსიტეტის ყოფილმა მესვეურებმა, აქაოდა თავისუფლება გვეღირსაო, რევიზიის თავისუფლებაც დაუშვეს, ყოველწლიურად ატარებენ. ახლანდელი რექტორი ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე, რომელსაც ურთულეს პირობებში უნივერსიტეტი მტკიცედ მიჰყავს, ამ მოვლენას, ალბათ, ზღვარს დაუდებს, თორემ გაუსაძლისი გახდა...

ახლა მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ. წლეულს მეურნეობას უნივერსიტეტის დოკუმენტური რევიზია საშობაოდ ესტუმრა და შარშანდელივით ორ თვეს ფეხი არ მოუცლიათ. მისხალ-მისხალ გადაზომ-გადაწონეს ყველაფერი. საზიანო არაფერი შეხვედრიათ, მაგრამ მის მესვეურთ ყველაზე ძვირფასი დრო ხელიდან გამოაცალეს.

ის იყო „ადგილობრივი“ რევიზია გაისტუმრეს, „ალავერდი“ მცხეთის გამგეობისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს კომისიამ ხადა. თქვეს, საქმეს ერთ კვირაში მოვრჩებითო, მაგრამ თითქმის ერთ თვეს მოუნდნენ. ცხადია, ამერიკა არც მათ აღმოუჩენიათ, არც შემმოწმებლის მუნდირით არავინ დაუტუქსავთ. აქაც დრო, ცხადია, უქმად დაიკარგა.

ამათი წასვლა და სახელმწიფო კონტროლის პალატის სპეციალისტების მოსვლა ერთი იყო. იცოცხლე, მათი პროფესიონალიზმის კოეფიციენტი უფრო მაღალი აღმოჩნდა, სამი თვე დაამრგვალეს. ამ პერიოდში ისე კი ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთეს. მეურნეობის მესვეურნი დიდად კმაყოფილნი არიან, პრაქტიკულად ხომ დაეხმარნენ, ზემდგომ ორგანოებშიც მათვე დასვეს საკითხი პრობლემების მოგვარებაზე.

ასეა თუ ისე, კარგი იყო თუ ცუდი, წლის პირველმა ნახევარმა მთლიანად რევიზია-შემოწმებების კორიანტელში ჩაიარა. პასუხს ველარ აუდიოდნენ მეურნეობის სპეციალისტები, არადა, ორად ხომ ვერ გაიჭრებოდნენ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ეშლებოდათ ხელი. თუმცა, მაინც ყველაფერი იღონეს, საქმე არ გაეფუჭებინათ და მათი ვაჟკაცობის აღსანიშნავად ისიც კმარა, რომ წლის პირველი ნახევარი დიდი მოგებით დაამთავრეს, ეს მაშინ, როცა მეურნეობათა უმრავლესობამ ან არსებობა შეწყვიტა, ან სულს ღაფავს.

ამის შემდეგ მეურნეობის თავკაცებმა იფიქრეს: კონტროლის პალატის შემდეგ ვინღა უნდა მოვიდესო, რევიზორები ცოტა ხნით მაინც შეგვასვენებენო, მაგრამ მოტყუვდნენ. წლის მეორე ნახევარი დაიწყო თუ არა, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორის კაბინეტში შემოფრენილმა ჩიტმა დაიჭიკჭიკა, თქვენს შემოწმებას ახლა რესპუბლიკის პარლამენტის აგრარული კომისია იწყებსო. საიდან იციო, — ხარბად დააყარეს შეკითხვები იმ „ჩიტს“. ორიოდე დღის წინათ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ჩემს მეზობელთან იქეიფა, ცოტა რომ შეზარხოშდა, წაიტრაბახა, მალე თქვენს მეურნეობას შევამოწმებთ, ძირფესვიანად ამოვატრიალებთო.

ჭორიაო, თქვა ერთმა. არ დაიჯეროთ, საუბარში ჩაერიე მეც, ჩვენს პარლამენტარებს რაც უბედურება ჰქირთ, საქვეყნოდ ცნობილია და ამასაც როგორ იკადრებენო-მეთქი.

მალე ყველას ცივი წყალი გადაესხა, მდივანმა მეურნეობის დირექტორს ჯემალ ტყეშელაშვილს წერილი მიაწოდა, რითაც ამცნობდნენ, კომისია უნდა შეუდგეს საქმიანობასო. შემდეგ წარმომადგენლებიც სწვევიათ მეურნეობას და მუშაობის ნორმალური პირობები მოუთხოვიათ.

არ ვიცით, როდემდე გაგრძელდება მეურნეობის ამ წელიწადში სათვალავით მეოთხე შემოწმება-რევიზია. ერთი კი ვიცით, იმ წყეული 1989 წლიდან ქვეყანაში ქაოსი და განუკითხაობა რომ დამკვიდრდა, მეურნეობაში დასახმარებლად კაცს არ შემოუდგამს ფეხი, აღარავინ ზრუნავს მათზე. მძიმე დღეში არიან, სულს უხუთავთ უსაწვავობა, ტექნიკის მარაგნაწილების, სასუქებისა თუ ქიმიკატების დეფიციტი, ბანდიტების მიერ გაძარცვული სარწყავი დანადგარები და რამდენი რა. სამაგიეროდ, „განებივრებული“ არიან შემოწმებებით, რევიზიებით, მიმოწერებითაც კი: აბა და ამ ორგანიზაციას ამდენი და ამდენი ჰექტარი მიწა დაუთმეთო და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, მეურნეობა მხოლოდ აგრარული უნივერსიტეტის დახმარებით წყვეტს თავის პრობლემებს, იმდენ პროდუქციას აწარმოებს, იგებს კიდეც, ქალაქის მოსახლეობასაც უწილადებს და მომავალ აგრონომებს, მექანიზატორებს, მელიორატორებს, ეკონომისტებსა თუ სხვა სპეციალისტებს პრაქტიკულადაც წვრთნის. ასეთ მეურნეობას კი მრავალი საკონტროლო ორგანოს შეუთანხმებლობით ყოველმხრივ ავიწროებენ, მუშაობაში ხელს უშლიან.

— ცხადია, რევიზიებისა და შემოწმებების წინააღმდეგი როდი ვართ, — გვითხრა ჯემალ ტყეშელაშვილმა, — მაგრამ ასე დაუსრულებელი რამ მართლაც არ გაგონილა. ამავე აზრისანი არიან მეურნეობის მთავარი აგრონომი გივი გიორგაძე, სხვები.

განგებ შევჩერდით ერთ კონკრეტულ ფაქტზე, რაც დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში ხდება, არავის ეგონოს, ის ერთეული მოვლენა იყოს. ქართველი ხლესტაკოვები ბოლო წლებში საგრძნობლად მომრავლდნენ და სტუმრობენ მხოლოდ იქ, სადაც დოვლათი იქმნება, რაიმე კეთდება. ხოლო იქ, სადაც მუშაობა ჩაკვდა, სათოფედ არ ეკარებიან: ნათქვამის ნათელსაყოფად თავისი გულისტკივილი აგრარული უნივერსიტეტის ერთმა საკმაოდ აღიარებულმა პიროვნებამ ასე გამოხატა:

— ჩვენს თვალწინ იშლებოდა და ნადგურდებოდა ჩვენივე უნივერსიტეტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა. მისი ყოფილი დირექტორი ვ. ცქიმანაური, რომელიც ამჟამად სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, მაფიის გავლენის ქვეშ მოექცა და ვეღარაფერს ღონობდა. იავარქმნილია ნაგებობანი, ზვრები, ფერმები; დაიტაცეს ტექნიკა, და ყოველივე, რისი დატაცებაც შეიძლებოდა! ყველაზე გულსაკლავი ის არის, რომ კაცს აღარ შეესვლება მუხრან-ბატონების ცნობილ სასახლეში, რომელსაც არც კარ-ფანჯარა შერჩენია და აღარც იატაკი, მუხრან-ბატონების ნახმარი ავეჯისა და ნივთების ნასახიც აღარსად არის. მომავალ თაობებს დაეკარგა ძვირფასი რელიკვია. ვის არ მივმართეთ დახმარებისათვის; მათ შორის მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობასაც, მაგრამ ისე დამთავრდა ნგრევის პროცესი, ყური არავინ გაიბერტყა, — აქაოდა ადგილობრივ ბანდებს ვერ გავუმკლავდებით, კბილებამდე არიან შეიარაღებულიო. მხოლოდ რესპუბლიკის განათლების სამინისტროში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არავის და არაფერს შეუშინდნენ, დანაშაულს ფარდა ახადეს, ახლა საქმეს მცხეთის პროკურატურა იძიებს. თუ როგორ წარიმართება იგი, ამის იმედი კი ნაკლებად გვაქვს, ჩვენში დამნაშავეს აღარ სჯიან.

დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ალბათ, ქართველი ხლესტაკოვების ახალი ჯგუფები კვლავაც მიადგებიან. რა გასაკვირია, რესპუბლიკაში სოკოებივით მრავლდება მაკონტროლებელი ორგანოები და ამ მხრივ ქვეყანა გინესის წიგნში დაიმკვიდრებს თვალსაჩინო ადგილს, თუმცა, შესამოწმებელი თითქმის აღარაფერი დარჩა. გაპარტახდა ყოველივე, ვანგრევთ იმასაც, რაც გადარჩა.

დიდი რუსი მწერალი ნიკოლოზ გოგოლი ცოცხალი რომ იყოს და საქართველოს ეწვიოს, ქართველ ხლესტაკოვებზე ჭეშმარიტად ისეთ ნაწარმოებს შექმნიდა, მსოფლიო შედევრი იქნებოდა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲓᲐᲒᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ნებისმიერ ფაბრიკასა და ქარხანაზე შეიძლება ითქვას, დესტაბილიზაციამ და ქაოსმა გრიგალივით გადაუარაო, რადგან, სინამდვილეში, ეს ასეც იყო, მაგრამ ეს ორი ქარხანა მაინც განსაკუთრებით დაზარალდა.

მანქანათმშენებელ ქარხანაში თითქმის არ დარჩენილა ისეთი უბანი, რომელსაც მოძალადე-დამრბეველთა ხელი არ დასტყობოდეს. გაძარცვეს ქარხნის მთავარი კორპუსი, სპილენძი ამოაცალეს ელექტროძრავებს, გაპარტახდა უნიკალური ჩარხები და დანადგარები. ერთი სიტყვით, წლობით ნაფიქრალ-ნაშენი ქარხანა მოკლე დროში იავარყვეს. საწარმოს საფინანსო ღირებულების ერთ მესამედზე მეტი მწყობრიდან არის გამოსული. რა გინდ მწარეც იყოს, სიმართლე მაინც უნდა ითქვას: ქარხნის კოლექტივმა ვერ მოუარა საერთო, სახელმწიფო ქონებას. ადრე საკავშირო დაქვემდებარების ქარხანას თავისი მტკიცე განსაზღვრული ნომენკლატურა ჰქონდა, უზრუნველყოფილი იყო ნედლეულითა და მარაგნაწილებით, მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, ყველაფერი შეიცვალა.

ახლა ქარხნის კოლექტივი დღე-დღეზე ელოდება რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროდან სპეციალურ კომისიას, რომელიც, ალბათ, ადგილზე შეისწავლის შექმნილ ვითარებას, დააზუსტებს ზარალის რაოდენობას და აღმოუჩენს სათანადო მატერიალურ დახმარებას, დააფინანსებს აღდგენით სამუშაოებს. მაგრამ ჯერჯერობით, ეს ყველაფერი სურვილის დონეზე რჩება... კომისია არ ჩანს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მარტო სხვისი დახმარების იმედით არავინ რჩება, ისინი თვითონ ეძებენ ამ მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებს, მაგრამ დახმარების ხელი მაინც აუცილებელია. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: სწორი კურსია აღებული — უნდა აღდგეს ძველი ეკონომიკურ-ტექნიკური კავშირები.

დღეს ქარხნის განკარგულებაშია 1990-1991 წლებში გამოშვებული პროდუქციის დიდი რაოდენობის ნაშთი, რომლის რეალიზაციის შემდეგ ქარხანა დაახლოებით 40 მილიონ რუსულ მანეთს მიიღებს, რაც მას ერთგვარად წელში გამართავს. აქ არსებული მზა პროდუქციის მომხმარებელი ძირითადად რუსეთია. ერთ-ერთი მათგანია კალუგის ელექტროტექნიკურ მოწყობილობათა ქარხანა, რომელთანაც უკვე აღდგენილია კავშირები.

ქარხანას, რომელიც ურთულესი ტექნიკური მოწყობილობებით, ჩარხდანადგარებით, რობოტებისა და სხვა ზუსტი დეტალების დამზადებით იყო დაპროგრამებული, სრულებით არ გაუჭირდება ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება. და აი, უკვე დაიწყო ქილების მოსახუფის, ქანჩის გასაღები კომპლექტის, მანქანის მისაბმელი სამაგრის, ალუმინის საოჯახო კიბის დამზადება. მალე მწყობრში ჩადგება ხის დამმუშავებელი საამქრო.

ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა სწრაფად აითვისა ჩაის ფაბრიკების ღუმელებისათვის საჭირო ფირფიტებისა და თუჯის სხმულებისაგან სხვადასხვა ზომის ქუროებისა და ლილვების დამზადების ტექნოლოგია. ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანასთან მიღწეულია შეთანხმება, ერთობლივად დაამზადონ ტრაქტორებისათვის საჭირო დეტალები. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც დროებითია ასეთი მაღალი რანგის საწარმოსათვის — ზუგდიდელი მანქანათმშენებლები დიდ იმედს ამყარებენ უცხოურ ინვესტიციებზე. საზღვარგარეთის ფირმებთან ურთიერთსასარგებლო კონტაქტებზე, რათა მათთან ერთობლივად გამოუშვან მაღალი ხარისხის პროდუქცია.

შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური ბედისაა ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთობათა ქარხანაც, რომელიც სანახევროდ იყო აშენებული, მაგრამ ისიც გაიძარცვა და გაჩანაგდა.

მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ ქარხნის ისტორიის გაცნობა.

1982 წელს დაიწყო ზუგდიდის ხელსაწყოთმშენებელი ქარხანა „ვექტორის“ მშენებლობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრო აფინანსებდა. „ვექტორის“ სამშენებლო მოედანი 78 ჰექტარს მოიცავდა. პროექტი სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებით ათიათასკაციანი დასახლების გაშენებას ითვალისწინებდა. მშენებლობის ღირებულება მაშინდელი კურსით 250 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

ქარხანა 1987 წელს უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, რადგან წლების განმავლობაში გამოყოფილი კაპიტალდაბანდება აუთვისებელი რჩებოდა. იმ დროისათვის მწყობრში ჩადგა მხოლოდ მისი მექანიკური საამქრო, რითაც ნაწილობრივ მაინც ხერხდებოდა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება და დამკვიდრება.

გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა აუთვისებლობით „განაწყენებულმა“ საკავშირო სამინისტრომ შეწყვიტა ობიექტის დაფინანსება და კატეგორიული უარი განაცხადა მშენებლობის გაგრძელებაზე. გარკვეული დავა-კამათის და დროის გასვლის შემდეგ, ეს მშენებარე ქარხანა საკავშირო სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს გადაეცა, რათა „ვექტორის“ ბაზაზე შექმნილიყო ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთობათა ქარხანა, რომელიც გამოუშვებდა ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო ნაწარმს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ესეც განუხორციელებელი დარჩა. ერთი სიტყვით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ფაქტობრივად, შეწყდა.

ორი წელიწადია, რაც ქარხანა საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მაგრამ მის მომავალს, ჯერჯერობით, სასურველი პირი არ უჩანს, რადგან ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურა, რომ არაფერი ვთქვათ მშენებლობის განახლება-დამთავრებაზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 19 დეკემბრის დადგენილება „კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროცესის დაჩქარების შესახებ“ დროულად განიხილა სამედიცინო ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა და შეიმუშავა თავისი სამოქმედო პროგრამა, სადაც საფუძვლიანად არის გაანალიზებული საწარმოს პრობლემები და კონკრეტულად დასახულია მათი გადაჭრის გზები.

როგორც ამ პროგრამაშია აღნიშნული, 1992 წელს ქარხანა შეიყვანეს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს სამთო-მეტალურგიული და ქიმიურ-ფარმაცევტული სამმართველოს შემადგენლობაში, რაც ქარხნის ხელმძღვანელობისათვის უცნობი იყო, ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი კონსულტაციები არ გამართულა. ირკვევა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ნაჩქარევი და მცდარი იყო, ვინაიდან არსებული ტექნიკური დოკუმენტაცია, აგებული კორპუსები, შენობა-ნაგებობანი, კომუნიკაციები, ამჟამად მოქმედი საამქროები თუ უბნები თავისი პროფილითა და ხასიათით შეესაბამებოდა მოთხოვნებს, რომელიც მისაღებია მრეწველობის სამინისტროს თავდაცვითი მრეწველობის კომპლექსის სამმართველოსათვის. ქარხნის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სწორედ ამ სამმართველოს სტრუქტურა და ფუნქციები უზრუნველყოფს მისი სამომავლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას.

ტყუილად როდია . ნათქვამი, „სხვისი ხელის შემყურე კაცი არ გაიხარებსო“. არც ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთობათა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალია სხვისი ხელის შემყურე, ამიტომ ისინი შემოქმედებითად აანალიზებენ ყველა პრობლემას, ძველსა თუ ახალს და საღი, დროული დასკვნები გამოაქვთ.

ადგილობრივი ძალებით მალე ამუშავდება საშემდუღებლო საამქრო, სადაც დამზადდება არასტანდარტული ლითონკონსტრუქციები. უკვე დამონტაჟებულია 4 თერმოპლასტავტომატი პლასტმასის ნაწარმის გამოსაშვებად (თუმცა ამ ავტომატებს წნეხფორმები და გამართვა სჭირდება), დამონტაჟებულია და გამართვას ელის ლითონის წრთობის 2 და ცემენტაციის 2 ღუმელი. ამჟამად ქარხანაში არის იმის საშუალება, რომ უმოკლეს დროში დამონტაჟდეს აგურის ტიპის მოსაპირკეთებელი ფილების წარმოების საამქრო. დაწყებულია და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ჩაის საღრობი ღუმელის ფირფიტების მასობრივად გამოშვებისათვის.

ზუგდიდის მანქანათსაშენი და სამედიცინო ნაკეთობათა ქარხნები მართლაც ერთნაირი ბედისანი ყოფილან. მართალია ორივეს მშენებლობა სტაბილურად დაიწყო, მაგრამ ათასგვარი მიზეზის გამო, დასასრულს ბოლო არ უჩანს და დღითიდღე მატულობს მათი ეკონომიკური პრობლემები.

იმედია, რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრო ბედის ანაბარა არ დატოვებს ამ დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოებს და სათანადო დახმარებას აღმოუჩენს.

დღეს იქაური შრომითი კოლექტივები, რომლებსაც ახლებურად მოაზროვნე დირექტორები ბაჩუკი გარდავა და ნუგზარ გვაზავა ხელმძღვანელობენ, მზად არიან მთელი ძალისხმევით იშრომონ და თავი დააღწიონ ეკონომიკურ კრიზისს.

ᲝᲓᲘᲙ ᲥᲣᲮᲘᲚᲐᲕᲐ,
„სრ“ საკ. კორ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲖᲔ

20 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ გაიმართა საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, სხვადასხვა უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე განიხილეს საკითხი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებათა სამართლებრივი საფუძვლების შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის 14 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად. აღინიშნა, რომ ახლა როცა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა დიდად არის დამოკიდებული კრიმინალური ვითარების განჯანსაღებაზე, დამნაშავეობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა სოციალურ და სულიერ რეაბილიტაციას. ამ საკითხის დროული მოგვარება მრავალ ახალ დანაშაულს აგვაცილებს თავიდან, რაც საზოგადოების ინტერესებიდანაც გამომდინარეობს.

ყოფილ პატიმართა სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების შემუშავებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო ბაზის მომზადებისათვის შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი.

სოციალურ საკითხთა კომისიასთან შეიქმნა აგრეთვე კონტროლის ჯგუფი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მოწვეული სპეციალისტები — კონტროლის პალატის, საგადასახადო ინსპექციის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისია პარლამენტის ხელმძღვანელობის დავალებით უწინარესად შეისწავლის ჰუმანური დახმარების განაწილების საკითხს, რომლის გამო ათასი მითქმა-მოთქმაა რესპუბლიკაში. შემდეგ ეტაპზე იგი განიხილავს მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში არსებულ უმწვავეს პრობლემებს, კერძოდ იმას, თუ როგორ არის გამოყენებული ფინანსები, რომლებიც გამოყოფილია სოციალური დაცვისათვის.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

21 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიაში შეხვედრა გაუმართეს გერმანელ იურისტებს, რომლებიც უკვე წელიწადზე მეტია ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობენ.

ბრემენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პროფესორი როლფ კნიპერი და ადვოკატი და ნოტარიუსი მაინის ფრანკფურტიდან ჰარტმუტ ფრომი გერმანიის ტექნიკური საზოგადოების ხაზით ეხმარებიან რესპუბლიკას საბაზრო ეკონომიკის კონტინენტური ევროპის საკანონმდებლო ბაზაზე გადაყვანის მიზნით.

შეხვედრაზე, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები თეიმურაზ კოპალეიშვილი და მელუდ წიკლაური, რესპუბლიკის რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარე ბაკურ გულუა, პარლამენტის წევრები, განიხილეს კანონპროექტი საწარმოთა შესახებ. გერმანელი სპეციალისტების დახმარებით მომზადებული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა პირველი წაკითხვით უკვე მიიღო საგაზაფხულო სესიაზე. მას ახლა მეორე წაკითხვისათვის ამზადებენ, შეხვედრაზე სწორედ ამ მიზნით გაიმართა დისკუსია კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით.

როგორც იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს, გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობა ფრიად ნაყოფიერი გამოდგა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი საკანონმდებლო თანამშრომლობით დაინტერესდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებშიც. სავარაუდოა, განაცხადა მან, რომ უახლოეს ხანში ეს მუშაობა უკვე მოგვცემს რეალურ შედეგებს ფარული ბიზნესის აღსაკვეთად, რესპუბლიკაში ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის მიმართებით.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲡ — 200 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გასცა განკარგულება ყოფილი საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში 200 ათასი ტონა ამერიკული ხორბლის გაგზავნის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის მინისტრის მაიკ ესპისადმი გაგზავნილ მემორანდუმში თეთრი სახლის მეთაურმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ამიერკავკასიაში აშკარაა სურსათის მწვავე დეფიციტი, რაც იწვევს შიმშილს მოსახლეობას შორის. ამიტომ, აღნიშნავს პრეზიდენტი, მარცვლეული ამერიკის შეერთებული შტატების მარაგიდან მეტისმეტად სჭირდებათ ამ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ხალხებს. „ეს ხორბალი გამოყენებული იქნება როგორც საგანგებო ჰუმანური დახმარება ამ რეგიონის ხალხებისადმი, რომლებსაც აწუხებთ შიმშილი, ასე ფართოდ რომ გავრცელდა“, — ნათქვამია ბ. კლინტონის მოკლე წერილში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ კობა ბუჩუკური დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

გათავისუფლდეს უშანგი პირმისაშვილი დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.

კობა მათეს ძე ბუჩუკური დაიბადა 1958 წელს დუშეთის რაიონის სოფელ გვიდაქეში. ქართველია, უმაღლესი განათლებით. 1985 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის განხრით.

1985-1991 წლებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, 1991 წლიდან დღემდე არის მცირე საწარმო „არაგვის“ დირექტორი.

ჰყავს მეუღლე.

ᲚᲘᲢᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც ახლახან ეწვია საქართველოს, რათა შეისწავლოს რესპუბლიკაში არსებული ვითარება და რეკომენდაცია წარუდგინოს თავის ქვეყანას დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, მიიღო პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ხაზი გაუსვა ლიტვის რესპუბლიკის სეიმსა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს შორის ურთიერთობის გააქტიურების აუცილებლობას. სტუმრები შეხვდნენ აგრეთვე პარლამენტის სპიკერის მოადგილეს რუსუდან ბერიძეს.

ქალბატონმა რუსუდან ბერიძემ ამომწურავი პასუხი გასცა სტუმრების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას. აღნიშნა, რომ იგი პარლამენტში წარმოადგენს ოპოზიციას, რაც ხელს არ უშლის საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად იღვაწოს საქართველოს საკეთილდღეოდ.

შეკითხვაზე — არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები, მან უპასუხა: ასეთი ფაქტი ჩემთვის ცნობილი არ არის და რომ ვიცოდე, ყველაფერს ვიღონებ მათი განთავისუფლებისათვის. შეკითხვაზე — როგორ უყურებს დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას, უპასუხა: ამ სასჯელის წინააღმდეგია, მაგრამ დღეს საზოგადოება მზად არ არის მასზე უარის თქმისათვის.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ

ᲡᲐᲓᲘᲚᲘ, რომელსაც თბილისში წარმოდგენილი „ხსნის არმია“ უფასოდ სთავაზობს გასაჭირში ჩავარდნილ მოქალაქეებს, პენსიონერებს, ლტოლვილებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მართლაც რომ კეთილი გულით მიიღება. დღევანდელ რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში ხანდაზმული მარტოხელებისა და სოციალურად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილთათვის თბილისში ახლა ოთხი უფასო სასადილო მოქმედებს. ისინი განლაგებული არიან კრწანისის, საბურთალოს, სამგორის, ვაკის რაიონებში, ფონიჭალაში, „ხსნის არმიას“ დაგეგმილი აქვს სხვა რაიონებშიც გახსნას მსგავსი სასადილოები. ერთ-ერთი მათგანი ამოქმედდება ვაზისუბნის დასახლებაშიც.

უფასო, ერთჯერადი კვებით მოქმედი ორი სასადილო „ხსნის არმიამ“ რუსთავის გასაჭირში ჩავარდნილ მოქალაქეებისთვისაც აამოქმედა, მალე თავის წარმომადგენლობას „ხსნის არმია“ ქუთაისშიც გახსნის.

„ხსნის არმია“ — საერთაშორისო საქველმოქმედო რელიგიური ორგანიზაცია — მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს, სადაც მისი დახმარება სჭირდებათ პენსიონერებს, გაჭირვებულ ადამიანებს, ინვალიდებს, ობლად დარჩენილებს.

საქართველოს დღევანდელი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის მოწვევით „ხსნის არმია“ საქართველოში წარმოდგენილია როგორც მაშველთა რაზმი გაჭირვებულთათვის.

„ხსნის არმიის“ პროგრამას აფინანსებს ამერიკის მთავრობა, ლონდონის საერთაშორისო „ხსნის არმიის“ შტაბ-ბინა. პროდუქტები სასადილოებისათვის და დახმარებებისათვის შემოდის შემოწირულობების სახით სხვადასხვა ქვეყნიდან.

დავაჩქაროთ სამშვიდობო პროცესი გალის რაიონში და მთელ აფხაზეთში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის
რუსეთის პრეზიდენტს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს
რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს
რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრია ვლადიმერის ძე კოზირევს
რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს პავლე სერგის ძე გრაჩოვს

პატივცემულო ბატონებო!

თითქმის ორი წელიწადია გრძელდება აფხაზეთის ტრაგედია. ათასობით გაწამებული და დამახინჯებული სიცოცხლე, [illegible] ქალაქისა და სოფლის ნანგრევები! პრაქტიკულად, მთელი ქართული მოსახლეობა დახვრეტილი ან გაძევებულია აფხაზეთიდან.

აღვირახსნილმა სეპარატიზმმა ეჭვქვეშ დააყენა საკუთრივ აფხაზი ერის არსებობის საკითხი, მისი გენოფონდი გაქრობის ზღვრამდე მიიყვანა. აშკარაა არა მარტო ქართველთა გენოციდი, არამედ აფხაზთა თვითგენოციდიც.

მძიმე ბედი ხვდა წილად აგრეთვე ათიათასობით რუსს, ბერძენს, სომეხს, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რომლებიც იძულებული არიან აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების სისტემატური დაბომბვის, ძარცვისა და ძალადობის გამო მიატოვონ საკუთარი კერები და გაემგზავრონ ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

დღეს აფხაზეთში ინტენსიურად სახლდებიან, იქ დარჩენილთ ტანჯავენ უშვილძირო გადამთიელები, საზოგადოების ნარჩენები, ბარბაროსები, მაროდიორები და მოძალადეები.

სეპარატისტთა ყველა ეს მოქმედება ცალსახად არის შეფასებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტებში, მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ როგორც გენოციდი, ეთნიკური წმენდა და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ამის მიუხედავად, არძინბას [illegible]ანურ კარზე მოკალათებულ გუდაუთელ სეპარატისტთა ავანტურისტული მოქმედება გრძელდება.

უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და აფხაზ-ქართველთა კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური მოწესრიგების ოთხმხრივი მოლაპარაკების არაერთგზის გადაწყვეტილებებს, თავიანთი ამბიციებით და თავხედური [illegible]ებით ეგრეთ წოდებული „აფხაზური სახელმწიფოს" ხელმძღვანელები კვლავ ბედის სასწორზე სდებენ აფხაზეთის ხალხთა მომავალს, რაც მათ არ ეკუთვნით, და სახელმწიფოებრიობას.

განა არ დადგა დრო, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაიგოს ყველამ, როგორც ახლო და შორეული საზღვარგარეთის, განსაკუთრებით რუსეთის პოლიტიკოსებმაც, რომ ვ. არძინბა და მისი „მძლავრი გუნდი" სულაც არ არის აფხაზი ხალხი, და, მით უმეტეს, მთელი მრავალეროვანი აფხაზეთი. და ისინი ის ადამიანები როდი არიან, რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ აფხაზეთის ხალხთა მისწრაფებანი და დაიცვან მათი ჭეშმარიტი ინტერესები.

უკვე ერთი თვეა, რაც მშობლიური კერებიდან გაძევებულმა ლტოლვილებმა თავიანთი შემდგომი ბედი მიანდეს რუსეთის სამშვიდობო ძალებს, იმის იმედით, რომ მათი მისია პირველ ეტაპზე წარმატებით დაიწყება და დამთავრდება. მაგრამ **სამშვიდობო ძალისხმევის პროცესის გაუგებარი პაუზა და გაჭიანურება უკიდურესად გაჭირვებულ მეოთხედი მილიონი ადამიანის ეჭვს ბადებს.** მათგან ათობით ადამიანი ყოველდღე იღუპება სტრესებისა და შიმშილის შედეგად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დაბეჯითებით გთხოვთ, პატივცემულო ბატონებო, **დააჩქაროთ** დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების პროცესი გალის რაიონში და სრული მასშტაბით მთელ აფხაზეთში.

ხალხის მოთმინების ფიალა ივსება, ყოველ საათს შეიძლება სტიქიურად დაიწყოს საკუთარ კერაზე ლტოლვილთა დაბრუნება. ამას კი შეიძლება მოჰყვეს მორიგი სისხლისღვრა. ხალხები და ისტორია ამას არ გვაპატიებენ.

გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ დიდ რუსეთს, თუ სურვილი ექნება, შეუძლია მთელ მსოფლიოს უჩვენოს მშვიდობისმყოფელობის კლასიკური მაგალითი არა მარტო აფხაზეთში, არამედ პლანეტის სხვა ცხელ წერტილებშიც! აფხაზეთის პრობლემის წარმატებული, სრულმასშტაბიანი გადაჭრა კი იქნება არა მარტო კავკასიაში, ამიერკავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში ვითარების სტაბილიზაციის საწინდარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

აფხაზური მხარე მოითხოვს, რომ აფხაზეთში დაბრუნების მსურველმა ლტოლვილებმა შეასრულონ რიგი დამატებითი პირობები

სოჭი, (იტარ-ტას-საქინფორმი). მიტოვებულ სახლებში დაბრუნების მსურველ ლტოლვილთა შორის ანკეტების გავრცელება უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს. როგორც 20 ივლისს იტარ-ტასის კორესპონდენტს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ენვერ კაპბამ განუცხადა, შევსებულ ანკეტებს აფხაზური მხარე განსახილველად არ მიიღებს თუ არ ექნებათ დამატებები, რომლებიც შეიტანეს აფხაზეთში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პრობლემისადმი მიძღვნილ სოჭში წინა კვირას გამართული ოთხმხრივი კომისიის სხდომაზე.

წინადადება ანკეტირების შესახებ კომისიის სხდომაზე შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მისიის წარმომადგენელმა რახმან თალლიმურმა.

აფხაზური მხარე მოითხოვს, რომ ანკეტის მეორე გვერდზე ლტოლვილებმა მიუთითონ თავიანთი ფაქტობრივი თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილი. როგორც ენვერ კაპბამ თქვა, გალის რაიონში ჩაწერილი მოსახლეობის ნაწილი ფაქტობრივად ცხოვრობდა და მუშაობდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. საჭიროა აგრეთვე მითითებული იყოს ცნობები ოჯახის იმ წევრების შესახებ, რომლებიც არ ცხოვრობენ ოჯახის უფროსთან ერთად.

ამას გარდა, აფხაზური მხარე მოითხოვს შეივსოს დამატებითი დოკუმენტი — დეკლარაცია, რომლითაც შინ დაბრუნების მსურველმა ლტოლვილებმა გარანტია უნდა მისცენ აფხაზეთის ხელისუფლებას, რომ დაიცავენ აფხაზეთის კანონებს.

როგორც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ავთანდილ იოსელიანმა საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა, 12 ივლისს სოჭის მოლაპარაკებისას წარმოდგენილი ოთხმხრივი კომისიის გადაწყვეტილების პროექტი ძირითადად გალის ტერიტორიაზე დაბრუნების მსურველთა პრობლემების მოგვარებას ეხებოდა.

პროექტის პირველი პუნქტი რუსეთის დელეგაციამ შემოიტანა. აღნიშნული პუნქტის თანახმად აფხაზეთის მხარე პასუხისმგებლობას კისრულობს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაბრუნებულ იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხოებისათვის. რაც შეეხება აფხაზების მოთხოვნას, დაბრუნების მსურველებმა გარანტია მისცენ აფხაზეთის ხელისუფლებას დაიცვან აფხაზეთის კანონები, მოლაპარაკების მონაწილე არც ერთი მხარე არ დაეთანხმა. ქართული მხარე მოითხოვდა არა აფხაზეთის კანონების დაცვას, არამედ აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედი კანონების აღიარებას. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს რუსეთისა და გაეროს დელეგაციების წარმომადგენლებმა. აფხაზურმა მხარემ თავისი მოთხოვნა არ შეცვალა, ამიტომ ამ საკითხზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული.

მსვლელობა ზუგდიდიდან ენგურისაკენ

21 ივლისს აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალმა პირებმა მოაწყვეს მშვიდობიანი მსვლელობა ზუგდიდიდან ენგურის ხიდისაკენ. მსვლელობის მონაწილენი ძირითადად იყვნენ გალის რაიონის წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ 11 ივლისს ანალოგიური აქციის დროს წამოყენებული მოთხოვნების შესრულებას — მშობლიურ კუთხეში დაუყოვნებლივ დაბრუნებას, სამშვიდობო პროცესების დაჩქარებას. მსვლელობის მონაწილეებს, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 10.000 კაცი იყო, მოჰქონდათ ლოზუნგები შემდეგი წარწერებით: „ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას, ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ, მოვუწოდებთ სამშვიდობო ძალებს და გაეროს სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ". ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ადგილობრივმა პოლიციამ სამშვიდობო ძალებთან ერთად ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ამ ღონისძიებას არ მისცემოდა სტიქიური ხასიათი. მსვლელობის მონაწილეებს ენგურის ხიდთან არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტის მისადგომებთან შეხვდნენ პოლიციისა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები შტაბის უფროსის პოლკოვნიკ ევგენი დრობინის მეთაურობით, იქვე იყვნენ გაეროს სამხედრო მეთვალყურენი პოლკოვნიკ ლასლო საბოს ხელმძღვანელობით.

შეკრებილთ სიტყვით მიმართეს გალის რაიონის გამგებელმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ვახტანგ ყოლბაიამ, პოლკოვნიკმა ევგენი დრობინმა, გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ლასლო საბომ, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე აქცია შეჩერებულ იქნა. მსვლელობის მონაწილეებმა აირჩიეს საინიციატივო ჯგუფი 16 კაცის შემადგენლობით, რომელთაც ყოველდღიური კონტაქტი ექნებათ სამშვიდობო მოლაპარაკების ორივე მხარესთან.

მსვლელობის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რუსეთის პრეზიდენტის ბატონ ბორის ელცინისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვისადმი.

აფხაზეთის სრულმასშტაბიანი კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო ცენტრი.

ქართული დელეგაცია სოჭში გაემგზავრა

სოჭში გაემგზავრა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ფარგლებში მოქმედი საკოორდინაციო კომისიის ქართული დელეგაცია ბ-ნ ლონდერ ცაავას ხელმძღვანელობით.

22-23 ივლისს აქ გაიმართება აღნიშნული კომისიის მორიგი სხდომა. განიხილება ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ამასთან ბ-მა ლ. ცაავამ იმედი გამოთქვა, რომ შესაძლებელია მოხდეს შეთანხმება ტყვეთა და მძევალთა გაცვლის, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებასა და დაღუპულთა გადმოსვენების საკითხებზე ერთობლივი მუშაობის განახლების თაობაზე.

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის საქართველოს ხელისუფლების, რუსეთის ფედერაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევა უშედეგო არ ყოფილა. უპირობოდ აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, უზრუნველყოფილია გაეროს აქტიური მონაწილეობა ცეცხლის შეწყვეტისა და დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორების მისაღწევად, ძმათამკვლელი ომის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის.

რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები ერთ თვეზე მეტია იდგნენ აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებას, რის შედეგადაც სიტუაცია ადგილებზე შედარებით მშვიდია, ვითარება ერთგვარად გაუმჯობესდა.

მიუხედავად ამისა, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მშობლიურ კერებში უსაფრთხო დაბრუნების პროცესი დღითიდღე ჭიანურდება. დევნილთა მდგომარეობა სულ უფრო აუტანელი ხდება, შიმშილით, სასოწარკვეთით იხოცებიან ადამიანები, ბავშვები და მოხუცები. აფხაზეთიდან გამოძევებულთა საფლავებით მოფენილია მთელი საქართველო.

უმძიმესია აფხაზეთში დარჩენილ ადამიანთა ხვედრი, გრძელდება ქართველთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა გენოციდი, ძალადობა, განუკითხაობა და ტერორი. აფხაზური მხარე კვლავ ცინიკურად არღვევს მიღწეულ მორიგებებს, აკეთებს ყველაფერს, რათა არ იქნას დაშვებული ლტოლვილთა დაბრუნება საკუთარ მამულში.

უსაფრთხოების ზონის ენგურგამღმა ნაწილში უხეშად ირღვევა სამშვიდობო ოპერაციის პირობები. აფხაზეთში არ შეუშვეს ქართველი სამხედრო მეთვალყურეები. ავტომატური იარაღით აღჭურვილი „ბოევიკები" და მკვლელები თარეშობენ გალის, სხვა რაიონებისა და ქალაქების ტერიტორიაზე, აიძულებენ ადგილზე დარჩენილ და სტიქიურად შესულ მოსახლეობას დატოვონ საცხოვრებელი ადგილები.

სამწუხაროდ, და ჩვენდა გასაკვირად, გალის რაიონში ასეთი აღვირახსნილი მოქმედება გრძელდება მას შემდეგაც, რაც იქ შევიდა სამშვიდობო ძალები. უფრო მეტიც, მათი ფორმებით, ემბლემითა და იარაღით უპელაციოდ დადიან, აწამებენ, ასახიჩრებენ და კლავენ ადამიანებს. დამნაშავეებ გამოაცხადეს და დაბრუნებაზე წინასწარ უარს ეუბნებიან მარტო გალის რაიონიდან 8000-ზე მეტ კაცს, ეს მაშინ, როცა ქართულმა მხარემ სამშვიდობო ოპერაციით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ზუსტად შეასრულა.

აქედან გამომდინარე აფხაზეთის მინისტრთა საბჭო კატეგორიულად მოითხოვს, რომ გაერომ, უშიშროების საბჭომ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ, რუსეთის ფედერაციამ, სამშვიდობო ძალების სარდლობამ უმოკლეს დროში განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა გუდაუთის დაჯგუფებამ შეასრულოს შეთანხმების ყველა პირობა, დაუყოვნებლივ დაიწყოს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხო და უპირობო დაბრუნება აფხაზეთში, უწინარესად, გალის რაიონში, ამასთან ისე, რომ დაბრუნებულმა მოსახლეობამ შეძლოს ზამთრისათვის ცხოვრების ელემენტარული პირობების შექმნა, მოწყობა და დაბინავება.

ამჟამად სიტუაცია ისე ვითარდება, რომ თუ გალის რაიონში დევნილთა დაბრუნება კვლავ გადაიდო და გაჭიანურდა, შესაძლებელია ლტოლვილებმა მიიღონ უპრეცედენტო გადაწყვეტილება, — ათეულ-ათასობით ადამიანი სტიქიურად მიადგება მდინარე ენგურს და გადავა, ან დაიხოცება მშობლიური კერის მიჯნებზე. აღნიშნული ტრაგიკული შედეგებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ პირებსა და ძალებს, რომელთაც შეუძლიათ სამშვიდობო ოპერაციის დაჩქარება და დევნილთა დაბრუნება. ახლანდელი და მომავალი თაობები შეაჩვენებენ იმათაც, ვისაც შეეძლო ხალხის გადარჩენა და ეს არ გააკეთა.

გვჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რუსეთის ფედერაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საქართველოს მეგობარი ქვეყნები ყველაფერს იღონებენ აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის, ბოლომდე მიიყვანენ სამშვიდობო ოპერაციას, უზრუნველყოფენ განდევნილი ხალხის დაბრუნებას, მშვიდობისა და თანხმობის აღდგენას აფხაზეთის მრავალტანჯულ მიწაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

როინ მეტრეველი:

„მხოლოდ განათლებულ თაობას ძალუძს ააშენოს დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო"

ის ფაქტი, რომ ამდენი ახალი უნივერსიტეტი, ინსტიტუტი თუ კოლეჯი გაიხსნა, სადაც შედარებით უფრო ადვილია შესვლა სასწავლებლად, ახალგაზრდობა მაინც დაუშრეტელი ნაკადულივით მოედინება ჩვენს ცოდნის ტაძარში, ბევრის მეტყველია, — ასე დაიწყო საუბარი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. — ვერაფერი შეცვლის უნივერსიტეტის უნიკალურ სამეცნიერო და პედაგოგიურ პოტენციალს, მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ახალგაზრდობა კი მიესწრაფის ფუძემდებლურ ცოდნას. მხოლოდ განათლებულ თაობას ძალუძს ააშენოს დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო.

— **მისაღები გამოცდები დღეს იწყება. რა სიახლეებით ხვდება დღეს უნივერსიტეტი?**

— სიახლე ბევრია. გაიხსნა ახალი სპეციალობები. ბიოლოგიის ფაკულტეტზე — ფუნდამენტური მედიცინა, გეოლოგია-გეოგრაფიულზე კი — სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია. დრომ მოგვთხოვა და გავხსენით ასეთი სპეციალობები „ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი", „ფინანსები და საბანკო საქმე". ზოგიერთ ფაკულტეტს სახელიც კი შეეცვალა. გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტი გახდა გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებისა და [illegible].

მისაღები გამოცდებისთვის საფუძვლიანად მოვემზადეთ. ყველა საგნობრივ კომისიას ხელმძღვანელობს ღვაწლმოსილი და გამოჩენილი მეცნიერი. საკმარისია დავასახელო ისტორიის კომისიის თავმჯდომარე — აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე, სამართლისმცოდნეობის — პროფესორი გ. ინწკირველი, ქართული ენისა და ლიტერატურის — პროფ. დ. მენაბდე, რუსული ენისა და ლიტერატურის — პროფ. ც. [illegible], ბიოლოგიის — აკადემიკოსი თ. [illegible]ლიანი, მათემატიკის — პროფ. [illegible]ლაძე, ინგლისური ენის — პროფესორი თ. კობახიძე და სხვ. საბუთების მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანია გამოცდილი პედაგოგი დოცენტი ა. წოწკოლაური, რომელიც უკვე მესამე წელიწადია ამ საქმეს პირნათლად ემსახურება და არც ერთი აბიტურიენტის გულისტკივილი, შეკითხვა, თხოვნა — უყურადღებოდ არ რჩება. ინფორმაციულმა ცენტრმა უკვე დაიწყო მუშაობა და ყველამ იცის, სად როგორი კონკურსია.

— **რომელ სპეციალობებზე გაქვთ დიდი კონკურსი და, საერთოდ, რამდენი კაცი უნდა მიიღოთ წლეულს?**

— ტრადიციულად დიდი კონკურსია იურიდიულ, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებზე, დასავლეთ-ევროპულ და აღმოსავლეთის ფაკულტეტების სპეციალობებზე. ამ ბოლო ხანს ბევრი დაინტერესდა ბიზნესით, საბანკო საქმით, კომერციით, მარკეტინგით...

უნივერსიტეტის 18 ფაკულტეტზე მივიღებთ — 2.212 ახალგაზრდას, მათ შორის — დღის — 1.822, სალამოს — 225, ხოლო დაუსწრებელზე — 165. ციფრები თვითონ მეტყველებენ, რომ უპირატესობას ვანიჭებთ სწავლის დღის განყოფილებას.

— **იქნება თუ არა შემსვლელებს რამე შეღავათები?**

— არავითარი. მოთხოვნა ერთია ყველასთვის — ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ განვახორციელოთ საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფცია.

— **ეს კონცეფცია ახალი სასწავლო წლიდან უნდა განხორციელდეს? ხომ არ გვეტყვით ამ კონცეფციის დედააზრს?**

— ძირეული რეფორმები განხორციელდა მრავალ იმ უნივერსიტეტში, რომელთანაც ჩვენ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გვაქვს დადებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედი აღზრდისა და განათლების სისტემა უკვე მნიშვნელოვნად დაშორდა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მუშაობისა და ფუნქციონირების პრინციპებს, აუცილებელია ძირეული რეფორმის გატარება. ამ რეფორმებს, რასაკვირველია, გარკვეული თვალსაზრისით უნდა ჰქონდეს ცენტრალიზებული, სახელმწიფო ხასიათი და ისინი ეფუძნებიან უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურ უფლებებს და მსოფლიო გამოცდილებაზე დაფუძნებული სახელმწიფო მოთხოვნილების გონივრული ურთიერთშეხამების პრინციპს.

საუნივერსიტეტო განათლება დაიყოფა სამ საფეხურად. პირველი საფეხური ემსახურება ზოგადსაუნივერსიტეტო განათლების მიღებას. ისწავლება ორმოცამდე სავალდებულო საგანი. სტუდენტებს სთავაზობენ არჩევითი სალექციო კურსების ნუსხას, არჩეული პროგრამა უნდა მიესადაგოს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებს სხვადასხვა სპეციალობაში. აღნიშნული საფეხურის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული მიიღებს ბაკალავრის დიპლომს. ცალკეულ დარგებში ბაკალავრის მომზადება შეიძლება მოხდეს საკონტრაქტო საწყისებზე. სტიპენდია ენიშნება მხოლოდ გამორჩეულსა და წარჩინებულ სტუდენტებს.

მეორე საფეხური ემსახურება განსაზღვრულ სპეციალობაში გაღრმავებული ცოდნის მიღებასა და კვალიფიციურ სამეცნიერო მუშაობაში ჩასაბმელად თეორიულ მომზადებას. აღნიშნული საფეხურის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული მიიღებს მაგისტრის ხარისხს და დიპლომს. მაგისტრატურის გახსნის უფლება აქვს მხოლოდ იმ უნივერსიტეტს, რომელსაც ჰყავს 5 ათასზე მეტი სტუდენტი და ყოველ 100 სტუდენტზე ძირითად შტატში სულ ცოტა ერთი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მესამე, ასპირანტურის საფეხურზე წარმოებს მუშაობა გარკვეულ სპეციალობაში არჩეულ სადისერტაციო ნაშრომზე მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ასევე მომზადება უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობისათვის. სწავლა დასრულებულად ითვლება, თუკი ასპირანტი ორი წლის ვადაში სპეციალიზებულ საბჭოში დასაცავად წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს.

საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის განხორციელება მოითხოვს არსებით გარდაქმნებს სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში, პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ამჟამად არსებული სისტემის პრინციპულ შეცვლას, უნივერსიტეტის სტრუქტურის სრულყოფას და მის მაქსიმალურად დაახლოებას მსოფლიოს წამყვანი საუნივერსიტეტო ცენტრების სტრუქტურებთან, ე. წ. აკადემიური და საუნივერსიტეტო მეცნიერების ინტეგრაციას. საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფცია საშუალებას იძლევა უნივერსიტეტი შედარებით უმტკივნეულოდ, განსაკუთრებული კაპიტალდაბანდებებისა და ახალი მშენებლობების გარეშე, იმ ძალებითა და მატერიალური ბაზით, რაც ამჟამად მას აქვს, გადავიდეს საუნივერსიტეტო განათლების ახალ სისტემაზე.

დოდო ხორბალაძე.

საქართველო - კვიპროსის საუნივერსიტეტო ინტერკოლეჯი

სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია. აქედან პირველი ორი წელიწადი თბილისში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა კვიპროსზე ოთხი თვით. ბოლო ორი წელიწადი სწავლება მიმდინარეობს კვიპროსზე. კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო დიპლომს.

ინტერკოლეჯი აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის. მიღება წარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე:

ბიზნესის ფაკულტეტი:
1. საერთო ბიზნესი;
2. საბანკო საქმე;
3. სასტუმროს მენეჯმენტი;
4. ტურიზმისა და მოგზაურობათა ორგანიზების მენეჯმენტი.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი:
1. ინგლისური და ბერძნული ენები (გიდი-მთარგმნელი);
2. ტელე-რადიო ჟურნალისტიკა.

იურიდიული ფაკულტეტი:
1. საერთაშორისო კომერციული სამართალი.

საბუთების მიღება გრძელდება 30 ივლისამდე.
მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. № 3, კორპ. 74, მე-5 სართ.
ტელ: 31-70-81, 99-02-74
(მეტრო სადგურ „დელისიდან" სახ. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისაკენ მიმავალი ყველა ტრანსპორტი, უნივერსიტეტამდე. ერთი გაჩერებით ადრე, „ВНИИТМЭ"-ს შენობა).

ინტერკოლეჯის რექტორატი

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის ტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:
— წყალმომარაგება, წყალარინება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა;
— თბოაირმომარაგება და მიკროკლიმატი;
— ქალაქებისა და დასახლებული ადგილების სანიტარიული დასუფთავება
— ქალაქების კეთილმოწყობა და დიზაინი;
— საქალაქო ტრანსპორტი და გზები;
— საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სანიტარიული მოწყობილობები და ექსპლოატაცია;
— საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მართვა;
— სასტუმრო მეურნეობის ექსპლოატაცია და მომსახურება.

ინსტიტუტი ამზადებს კომუნალური დარგის ინჟინერ მშენებლებს და ინჟინერ ეკონომისტებს. სწავლება ფასიანია, ხანგრძლივობა 4,5 წელიწადია. ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება მათემატიკასა და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გასაუბრების შედეგად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
თბილისი, მ.კოსტავას I შესახ. №33, ფირმა „თბილწყალკანალის" შენობაში (სანაპიროზე, საცურაო აუზის უკან), 11 ივლისიდან 15 სექტემბრამდე 10-დან 17 საათამდე.
ტელეფონი: 93-22-97.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯი აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე

სწავლება უფასოა - მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია

დღის სწავლება
პირველი და მეორე კურსი-კვალიფიკაცია უმცროსი ინჟინერი
1. არქიტექტურა. 2. შენობების და ნაგებობათა მშენებლობა. 3. სამშენებლო ნაკეთობათა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოება. 4. პურისცხობის, მაკარონის და საკონდიტრო წარმოება. 5. ღვინის წარმოების ტექნოლოგია. 6. ხორცის და ფრინველის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია. 7. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ტექნიკური მომსახურება (ქართული და რუსული სექტორი). 8. პროგრამირება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების და ავტომატიზებული სისტემებისათვის. 9. სილიკატური და ძნელდნობადი არალითონური მასალების და ნაწარმის ტექნოლოგია (კერამიკის ტექნოლოგია). 10. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. 11. გაზმომარაგების მოწყობილობების და სისტემების ექსპლოატაცია. 12. შიდასანტექნიკური სისტემების მონტაჟი.

დაუსწრებელი სწავლება
მესამე კურსი-კვალიფიკაცია ტექნიკოსი
1. პურის ცხობის, მაკარონის და საკონდიტრო წარმოება, 2. ღვინის წარმოების ტექნოლოგია. 3. ხორცის და ფრინველის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია. 4. შენობების და ნაგებობათა მშენებლობა 5. გაზმომარაგების მოწყობილობების და სისტემების ექსპლოატაცია.

მისაღებ გამოცდებს აბარებენ
პირველ კურსზე
1. ქართული ენა (წერა - წაკითხული ტექსტის შინაარსი); 2. მათემატიკა (ზეპირი); რუსულ სექტორზე - 1. რუსული ენა (კარნახი); 2. მათემატიკა (ზეპირი).
მეორე და მესამე კურსზე
1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-თხზულება); 2. მათემატიკა (ზეპირი).
შენიშვნა: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, სილიკატური და ძნელდნობადი არალითონური მასალების და ნაწარმის ტექნოლოგიის, პურის ცხობის, მაკარონის და საკონდიტრო წარმოების, ღვინის წარმოების ტექნოლოგიის, ხორცის და ფრინველის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობების მეორე და მესამე კურსზე შემსვლელნი მათემატიკის ნაცვლად მისაღებ გამოცდას აბარებენ ქიმიაში (ზეპირი).
არქიტექტურის სპეციალობის მეორე კურსზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ: ხატვაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1994 წლის 15 აგვისტოდან
კოლეჯში ჩარიცხულნი სტიპენდიას მიიღებენ საერთო წესის მიხედვით.
განცხადებები მიიღება მ.წლის 15 ივნისიდან, შემდეგი საბუთების თანდართვით:
1. განათლების მოწმობა (ატესტატი) დედანი, 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ), 3. ფოტოსურათი (ზომით 3X4) - 6 ცალი, 4. პასპორტი (დაბადების მოწმობის ასლი), სამხედრო ბილეთი (მიწერის მოწმობა) წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად. განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა ყოველდღე, გარდა კვირისა, 9-00 - 16-00 საათამდე. საბუთების შემოტანის დროს აბიტურიენტი იხდის მისაღები გამოცდების მომსახურების ხარჯებს.

მისამართი: თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. № 8.
ტელეფონი 95-30-67, 95-48-00
მეტრო სადგური „მარჯანიშვილი"

ინფორმაცია

მოძრაობა აღდგენილია

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 20 ივლისს, 11 საათსა და 30 წუთზე, წყალტუბოს ზონის კომენდანტის სამხედრო დასახლებაში დროებით მცხოვრებმა აფხაზეთიდან ლტოლვილებმა (დაახლოებით 100 პირი) გადაკეტეს სამტრედია-ქუთაისის ცენტრალური საავტომობილო გზა. ისინი მოითხოვდნენ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პიკეტს უცხოური ავტომანქანით მიადგნენ სამტრედიიდან ქუთაისისაკენ მიმავალი შეიარაღებული დაუდგენელი პირები და მოპიკეტეებს სთხოვეს გაეტარებინათ ისინი. ორ მხარეს შორის მოხდა შელაპარაკება. ამ დროს ერთ-ერთმა შეიარაღებულმა პირმა ისროლა ავტომატიდან, რის შედეგადაც დაიჭრა ორი ლტოლვილი. ისინი ქუთაისის საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო ბოროტმოქმედები მიიმალნენ.

განაწყენებული ლტოლვილები მივიდნენ საგზაო პოლიციის კომენდანტის საგუშაგოზე და პოლიციის მუშაკებს იარაღი მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ ლტოლვილებმა ქვები დაუშინეს საგუშაგოს. სხეულის დაზიანება მიიღო საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორმა ი. ქუთათელაძემ.

გზაზე მოძრაობა აღდგა 13 საათსა და 30 წუთზე.

მწყემსები მძევლად აიყვანეს

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ 20 ივლისს, საღამოს, დუშეთის რაიონის მლეთის საზაფხულო საძოვრებიდან დაუდგენელმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს და ჯავის მიმართულებით წაასხეს 900 სული ცხვარი, 30 მსხვილფეხა პირუტყვი, თან მძევლად წაიყვანეს 6 მწყემსი.

ხორციელდება ღონისძიებები გატაცებული მწყემსებისა და საქონლის დასაბრუნებლად.

ხარაგაულში პურს უფასოდ არიგებენ!..

ახლახან, თითქმის შვიდთვიანი იძულებითი შეჩერების შემდეგ, ხარაგაულის მაღაზიებში კვლავ გაჩნდა გამომცხვარი პური.

პირველ ორ დღეს, რაიკავშირის ხელმძღვანელთა ინიციატივით, პურის ორი დღის ნორმა უფასოდ დაურიგდა დაბა ხარაგაულის მოსახლეობას.

რაიკავშირის ინიციატივას გამოეხმაურნენ პურკომბინატისა და საიჯარო-სავაჭრო ცენტრის კოლექტივები, რომლებმაც კიდევ ოთხი დღის განმავლობაში უფასოდ მიაწოდეს ნორმირებული პური მოსახლეობას.

კარგი იქნება თუ რაიონში არსებული სხვა წარმოება-დაწესებულებები და კერძო სტრუქტურებიც მიბაძავენ ზემოთ დასახელებულ კეთილმოქმედ ორგანიზაციებს.

ჰენრი შარიქაძე.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გააუქმა 1994 წლის 12 აპრილის № 208 დადგენილება, რომლის მიხედვითაც ნავთობის მომპოვებელი ორგანიზაციები აღარ იქნებიან გათავისუფლებულნი გადასახადებისაგან იმ მოტივით, რომ ეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პრეროგატივაა.

გამონაკლისი დაშვებული იქნება მხოლოდ უცხოელთათვის, რომლებმაც ითხოვეს შეღავათის გაწევა და 2-3 წლით სახელმწიფო გადასახადებისაგან გათავისუფლება. უცხოელები გათავისუფლდებიან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის ბრძანებულებით.

თბილისი. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ვახტანგისის მეთესლეობის მეურნეობის მიწებიდან გამოყო 40 ჰექტარი მიწა თბილისსა და რუსთავში მცხოვრებ გერმანელთა ოჯახებისათვის. ამ ოჯახებმა კვლავ მოისურვეს გერმანული კოლონიის აღდგენა და კომპაქტურად დასახლება.

ბორჯომი. ორი თვეა ბორჯომის რაიონს ლტოლვილებისთვის გამოყოფილი ფული არ მიუღია.

კვლავ დიდი პოეტური გატაცებით...

ამ დღეებში ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა პოეტისა და მთარგმნელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწის, საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობისა და თანამშრომლობის საერთაშორისო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ლეილა ერაძის შემოქმედება. ეს ჯილდო მას მიენიჭა აზერბაიჯანული ლიტერატურის ნიმუშების ქართულ ენაზე ამეტყველებისათვის.

საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა პოეტ-ლაურეატს და სთხოვა გაეცნო მისი მთარგმნელობითი საქმიანობა:

— ივანე მაჩაბლის პრემიის მიღება, ჩემი ნაღვაწის მართლაც უდიდესი ჯილდო და მაღალი შეფასებაა. მაგრამ, ეს ჯილდო უპირველეს ყოვლისა, არის მრავალსაუკუნოვანი აზერბაიჯანული პოეზიის აღიარება და დაფასება, აგრეთვე პატივია იმ ქართველი მკითხველისა, რომელმაც შეიყვარა და გაითავისა იგი.

აზერბაიჯანული პოეზიის თარგმნა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავიწყე, უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე სწავლისას. ჩემმა მასწავლებლებმა აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ, ზიზო გუდიაშვილმა და ვენერა ჯანგიძემ შემასწავლეს და შემაყვარეს ეს პოეზია.

პირველი ჩემი ნათარგმნი ლექსთა კრებული სამედ ვურღუნის პოეზია გახლავთ. ეს წიგნი ვურღუნის დიდმა მეგობარმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ გადმომცა და დამავალა მეთარგმნა. ჩემთვის დიდი პატივი იყო ასეთი დავალების შესრულება. ლექსები მართლაც ვთარგმნე და წიგნს რედაქტორობა გიორგი ლეონიძემ გაუწია.

ამას მოჰყვა, როგორც წინასაუკუნეების აზერბაიჯანული ლიტერატურის კორიფეების — ნასიმის, ვაგიფის, მირზა ფათალი ახუნდოვისა და სხვათა პოეზიის თარგმანები, ამასთანავე და ძირითადად თანამედროვე აზერბაიჯანული პოეტების ლექსთა კრებულები. პოეზიის ანთოლოგია და სხვა მრავალი, სულ ოცდაათამდე დასახელების წიგნი.

საერთოდ ვთარგმნი იმას, რაც ესადაგება ჩემს სულიერ განწყობილებას, ჩემს იდეურ მრწამსს და ყოველთვის ვითვალისწინებ მაღალგემოვნებიანი ქართველი მკითხველის მოთხოვნილებას.

ლექსის თარგმნა ხომ იგივე ლექსის შექმნაა, მხოლოდ ავტორის მხატვრული აზროვნების თავისებურებებისა და მისი სულიერი სამყაროს გათვალისწინებით. თარგმნის სრულყოფილებაში გარკვეულწილად ხელს მიწყობდა სათარგმნი მასალის დედნის ენის, კულტურის სფეროსა და გეოგრაფიული გარემოს ცოდნა. შეუძლებელია და არც მიცდია სავსებით იდენტური თარგმანის შექმნა. მაგრამ ყოველთვის ვცდილობ ორიგინალურს არ დავუკარგო ავტორისეული აზრობრივი დატვირთვა, განწყობილება, ინტონაცია, მხატვრულ სახეთა სისტემა, არ მიღალატოს ზომიერების გრძნობამ რომ თარგმანი ვაქციო ჩვენი, ქართული ლიტერატურული პროცესის უშუალო მონაწილედ.

ვუმადლი ბედს, რომ შემაძლებინა ქართველი მკითხველის წიგნის თაროს შემატებოდა აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსების თანამედროვე ლირიკოსთა და პროზაიკოსთა ნაწარმოებები. ვაგიფი, ილიას იფენდიევი, ნასიმი, ჯალილ მემედგულზადე, ჰასან სეიდბეილი, ნაბი ხაზრი, ჯაბირ ნოვრუზი, ნარიმან ჰასანზადე, ისა ჰუსეინოვი, მირზა იბრაჰიმოვი, ისმაილ შიხლი, ჯალალ მამედოვი, ანარი, სულეიმან რუსთამი, რასულ რზა, — აი, არასრული სია იმ მწერლებისა, რომელთა ლექსები, მოთხრობები და რომანები ახლა უკვე ქართველ მკითხველთა საყვარელ ნაწარმოებებად იქცნენ.

რაზე ვმუშაობ ამჟამად?

რამდენიმე კრებული სასტამბოდ გამზადებული მიდევს მაგიდაზე და ამ წიგნების გამოცემის სიძნელის მიუხედავად, კვლავ დიდი გატაცებით ვთარგმნი დღევანდელი აზერბაიჯანის სახელგანთქმული პოეტების ნაბი ხაზრისა და ნარიმან ჰასანზადეს პოეზიას.

იმედი მაქვს, ისინი მალე იხილავენ დღის სინათლეს.

და ბოლოს, მიხარია, რომ ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის მონიჭების პატივი წილად მხვდა ისეთ აღიარებულ მთარგმნელებთან ერთად, როგორებიც არიან რომან მიმინოშვილი და ისრაელში მცხოვრები ქართველ ებრაელ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი — თამარ კეზერაშვილი, აბრამ მამისთვალოვი და გირშონ წიწუაშვილი.

ვულოცავ მათ ამ დიდ აღიარებას და წარმატებებს ვუსურვებ.

მარტვილის მუზეუმის საჩუქრები

კეთილი სიტყვა

მარტვილიდან სამახსოვრო საჩუქრები მოვიდა. დედაქალაქში გამოჩნდა მარტვილის ეროვნული მუზეუმის ახალი გამოცემები: გივი და [illegible] ელიავების ეტიუდებისა და ძიებების კრებულები, მუზეუმის 89-ე სამეცნიერო სერიის მასალები — სამი მომცრო, ფაქიზად გამოცემული წიგნი. უქაღალდობის პირობებში შესრულებული ეს საშური საქმე. კრებულებში მეცნიერული კეთილსინდისიერებით არის გაშუქებული კოლხეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხალხური სიბრძნის, ყოფის რეალიების, სამუზეუმო საქმის სადღეისო საკითხები. შეკრებული, გაცხრილული და გაანალიზებულია მდიდარი მოპოვებული მასალა, რომლის დიდი ნაწილი საველე მუშაობისას ისტორიული კოლხეთის არე-მარეზეა აღმოჩენილი და პირველად არის ჩართული სამეცნიერო ძიებაში.

მარტვილის ეროვნული მუზეუმი, რომელსაც დიდი ხანია სათავეში უდგას სამუზეუმო საქმის გამოჩენილი ორგანიზატორი, ქართული ეთნოგრაფიის, ტოპონიმიის, ხალხური სიბრძნის თვალსაჩინო მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი გივი ელიავა, გადაიქცა კულტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ცენტრად რესპუბლიკაში. ვისაც ეს მუზეუმი და მისი საოცარი ექსპოზიციები, ადგილებზე მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლების გამოფენები და პუბლიკაციები უნახავს, დამერწმუნება, რომ გივი ელიავასა და მისი რუდუნებით ორგანიზებული კოლექტივის მოღვაწეობა მოსაწონი და ღრმად დასაფასებელია. მათი წვლილი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანია. ადგილებზე მოპოვებული უნიკალური ძეგლების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ტოპონიმიური ჩანაწერების სათუთად მოვლა-პატრონობასთან ერთად, რაც უმდიდრეს ფასეულ კოლექციებს შეიცავს, აქ გაჩაღებულია ქმედითი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რითაც მუზეუმის თანამშრომლებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ეროვნული მეცნიერების განვითარებაში. თავად ბატონი გივი ელიავა სიკეთით სავსე, დაუღლელი, მუდამ სიახლის მაძიებელი მოღვაწე — მაგალითის მიმცემია ახალგაზრდობისათვის. მისი შრომები ყურადღებას იმსახურებენ აქტუალობით და ორიგინალობით. ზემოხსენებულ კრებულებშიაც უმთავრესი ადგილი გივი ელიავას დაკვირვებებს ეთმობა. მათგან აღსანიშნავია სამი გამოკვლევა: „ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი“, „დიდამიწის ღვთაებრივი თაყვანისცემის რიტუალი და სათაყვანო შრომის ჰიმნი „ოდოია“ (ოდოდია)“ და „თვითმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში“.

პირველ ნაშრომში ახლებურადაა გააზრებული ცნობილი ისტორიული ფაქტები და გამოყენებულია თეზისი გიორგი ჭყონდიდელისა და გიორგი ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესის იდენტიფიკაციის შესახებ. ამ ინტერპრეტაციაში ზოგი რამ შეიძლება დასაზუსტებელი იყოს, მაგრამ უდავოა ავტორის დასაბუთებული მსჯელობა. „გიორგი ჭყონდიდელმა აღზარდა გენიოსი მეფე (დავით აღმაშენებელი), მონაწილეობას იღებდა მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ხორცშესხმაში. იგი იყო შეუდარებელი პედაგოგი, პოლიტიკოსი, მეცნიერი, მოღვაწე, რომელმაც საქართველოს ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნაში თავისი სული და აზრი ჩადო, მის შექმნასა და განხორციელებაში გვერდში ედგა სწორუპოვარ მეფეს“. მეორე ნარკვევში შესწავლილია ხალხური რიტუალი „ნერჩი პატონი“ — მიწის (ფუძის) პატრონი და მისი მჭიდრო კავშირი მიწის მითიური ღვთაების, ოდის, საგალობელთან — ოდოიასთან. მარჯვედაა ეტიმოლოგიზებული ტერმინი ოდი (ოდო) და მისი ფუნქციური ეკვივალენტები სვანურსა და კოლხურ მითოლოგიაში. მესამე გამოკვლევაში დადგენილია თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტის ატრიბუტები ძველ კოლხეთში. ახალი მასალებია მოშველიებული „კათუა“, „დუდკოჩი“, „სხუნუ“, „მეხვამური“, „მენცანი“, „მენამუსი“, „მაჯინე“ და სხვა ხალხური იურიდიული ცნებების სემანტიკის გასახსნელად. ბუნებრივად ჟღერს ავტორის დასკვნითი აღსარება: „დღის დემოკრატიული რესპუბლიკის ვითარებაში სწორედ ეს სტრუქტურა და ფორმები უნდა დაფუძნდეს. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გაკეთილშობილებული და ამაღლებული, თუმცა ეროვნული მახასიათებლით გამორჩეული. ამას აყენებს სადღეისო მოთხოვნებიო“.

კაცი აუღელვებლად ვერ წაიკითხავს გივი ელიავას ჩინებულ ნარკვევს „ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის ერთი მაგალითი“, რომელიც ეძღვნება ავტორის საქველმოქმედო საქმიანობას. ინტერესით იკითხება აგრეთვე კრებულებში შეტანილი დ. ელიავას, ა. ფაილოძის, მ. გაბისონიას, ვ. გაგუას, მ. წოწორიას ნარკვევები. თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-იქ უნებლიედ გაპარულ სტილისტურსა და კორექტულ შეუსაბამობებს, წიგნები მთლიანად სტამბურად კარგადაა გამართული. „ეტიუდები“ დაბეჭდილია ქუთაისში, „ძიებანი“ და „მასალები“ — თავად მარტვილში.

ასე, რომ მარტვილის ეროვნული მუზეუმი იზრდება და ვითარდება.

ალექსანდრე ღლონტი.

რა ენა წახდეს

სტიპენდიატი... კონსენსუსი...

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 1944 წლის 21 ივნისს გამოქვეყნებული განცხადება „სოროსის ფონდი“, რომელშიც ლაპარაკია სტუდენტ და ასპირანტ სტიპენდიატებზე, ეს ბოლო სიტყვა ერთ შემთხვევაში დაბეჭდილია როგორც „სტიპედიანტები“, მეორეში როგორც „სტიპენდიანტები“. სამწუხაროდ, ერთიცა და მეორეც შეცდომას შეიცავს.

უნდა იყოს „სტიპენდიატები“. ასეა აღნიშნული ივ. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურიას ორთოგრაფიულ ლექსიკონში, ქართული ენის განმარტებით (რვატომიან) ლექსიკონში, რუსულ-ქართულ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის), უცხო სიტყვათა და ყველა თანამედროვე ლექსიკონშიც.

ვსარგებლობ შემთხვევით და იმასაც დავსძენ, რომ არის რამდენიმე სიტყვა — ტერმინი, რომლებიც არაიშვიათად ანალოგიური ხასიათის შეცდომებით იწერება და გამოითქმის. ისინიც „ნ“ (ნარი) ასოს უადგილო ხმარებას (უფრო მის უგულებელყოფას) შეეხება.

ეს სიტყვა-ტერმინებია: **კონტინენტი, კონტინგენტი, კონსენსუსი;** მათი ხმარებაც მეტ ყურადღებას მოითხოვს.

აკადემიკოსი
ევგენი ხარაძე.

აი, გონება და გამოგონება!

ფელეტონი

უნდა გამოვტყდე, ეჭვიანი კაცი ვარ და, როცა ქართველმა პროფესიონალმა პატრიოტებმა (ასე ვარსკვლავცვენად რომ გამოვლინდა და წარმმართველ ძალად მოგვევლინა ბოლო წლებში) საქართველოს ბედნიერი მომავლის განსაზღვრისას საოცარი ნიჭიერებითა და ოსტატობით გვერდი აუქციეს იმ ეკონომიკურ სისულელეს, რომ საქართველო თავის მოთხოვნილებას მარცვლეულზე მხოლოდ 6 პროცენტით, ხოლო ენერგორესურსებზე 18 პროცენტით იკმაყოფილებს, დანარჩენი სათხოვარ-საყიდელ-სამათხოვროა, და აღთქმული სამოთხის ძიებისას მინერალურ და მტკნარ წყლებთან ერთად გეზი მეორე ბუნებრივ მადანზე — ქართველი კაცის იშვიათ ინტელექტზე აიღეს, ვიმეორებ, ეჭვიანი კაცი ვარ და ყოველივე ამას ალმაცერად ვუყურებდი.

თურმე, ვცდებოდი და მერე როგორ ვცდებოდი! ჩემს ამ უმეცრებაზე უმალ თვალი ამეხილა, როცა ახლახან თბილისის ვაგზალზე ქართული ნიჭის ანუ, როგორც ახლა ამბობენ, ბიზნესმენობის უიშვიათეს მიღწევას გავეცანი- **ცნობათა ბიურო ფასიანი გამხდარა! დიახ, ფასიანი!** ამას გვაუწყებს სარკმელთან გამოკრული, გაკრული, მაგრამ ადვილად გასაგები ხელით ნაწერი პატარა ქაღალდი. იქვეა სადგურის უფროსის ზ. კაპანაძის ბრძანების გადაბეჭდილი ტექსტიც: **„რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა ნაკადის შემცირებასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე, სამგზავრო სადგურის საფინანსო და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ვბრძანებ: ...2. ცნობათა ბიუროს მომსახურებისათვის (!) დაწესდეს გადასახადი 5 000 კუპონის ოდენობით“.**

ხუთი ათასი კუპონი — 6-7 კგ. პურის ფასი, ფასაწყისისათვის ცუდი არ არის. ბრავო! შესანიშნავი მოტივირებაა, დასაბუთება და მშრომელთათვის ზრუნვა სწორედ ამას ჰქვია! ყველა დამეთანხმება, გონებამახვილობისა და სარგებლიანობის მიხედვით ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ რუსი ოფიცრის მიერ ბუზის გამოყენების გენიალური მიგნება ამ გამოგონებასთან ფერს კარგავს კი არა, სულაც არაფერია! მაგრამ, ვაითუ, მგზავრთა ნაკადი კიდევ შემცირდეს და მათთვის ორი ხელბარგიდან ერთის ჩამორთმევა გახდეს საჭირო!

[illegible] ხალხს რა გამოლევს და შეიძლება ვინმემ იკითხოს, რა ცნობათა ბიუროა ასეთი, ფულს რომ თხოულობსო.

რასაკვირველია, რკინიგზის სადგურის ცნობათა ბიურო ახლა, ივლისში, ვერ გეტყვის მარტისთვის დაპირებულ პურის ფქვილს როდის დაგვირიგებენ ან მაის-ივნისის ხელფასი და პენსია როდის იქნება, მაგრამ შეკვეცილი და დაპატარავებული საქართველოს მატარებლების მიმოსვლის განრიგსა და ტარიფებზე ზოგიერთი ცნობის მოწოდება ნამდვილად შეუძლია. ვამბობთ, შეუძლია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ყოველთვის ზუსტი პასუხი მოვთხოვოთ. მაგალითად, არავითარი აზრი არა აქვს მგზავრობის ღირებულების კითხვას. რად გინდა ცოდნა, სალაროში ოფიციალური ფასით ბილეთს მაინც ვერ იშოვი. აქ საუბარი არ ეხება ბილეთების შეკვეთისა და წინასწარი აღების საფასურს. იგი წასვლის დღესაც აღებულ ბილეთებშიც ყოველთვის მტკიცედ ზის! მხედველობაში გვაქვს ბილეთების ე. წ. სახელშეკრულებო ფასები (როგორც ახლა მოდაშია და ჯერჯერობით წიგნებს აწერენ): მოლარეს რა თანხაზეც მოურიგდები, იმას გადაიხდი.

რაც შეეხება მატარებელთა წასვლასა და ჩამოსვლას საერთოდ და მის განრიგს კერძოდ, ცნობათა ბიუროს ამაზე, თუ ზუსტი არა მიახლოებითი პასუხი ყოველთვის აქვს. მაგალითად, ესა თუ ის მატარებელი დღეს გავა თუ არა, შუადღემდე შეიძლება ვერ გითხრას, მაგრამ ნაშუადღევს ნამდვილად გეტყვის. ასევე: რომელ საათზე გავა, დანამდვილებით მან კი არა, მამაზეციერმაც არ იცის, მაგრამ, რომელზეა დაგეგმილი, საღამოს პირს აუცილებლად გაცნობებს. და მერე, ეს პატარა საქმეა!

თუ ძველ, დრომოჭმულ დროს გნებავს დაუბრუნდეთ, მატარებელთა მიმოსვლის გრაფიკი და ტარიფები ქართულ და რუსულ ენებზე შავ დაფაზე თეთრი დიდი ასოებით რომ ეწერა ან ელექტრონტაბლო გიჩვენებდათ, რა ბილეთები იყიდებოდა, მატარებლები რომელ ლიანდაგზე ჩამოდგებოდა, ან კიდევ ავტომატური ტაბლო სხვა სადგურების ცნობებს იძლეოდა, — ტყუილა ელით, არაფერი გამოგივათ!

ხო დაინახე, შე კაცო, არც ერთმა ამან არ გაამართლა!

ჩემი თვალით ვნახე, ერთი დედაკაცი როგორ იწყევლებოდა და შენც ახლა ადგები და დაიწყებ ყვირილსა და ჩივილს, ყოველმხრივ სისხლს გვწოვენო. არ იქნები მართალი ეს შენი ფული გადამთიელს ხომ არ მიაქვს, შენს სისხლსა და ხორცს ეჭმევა, ხომ იცი, რამდენი და რამდენადაც მდიდარი ადამიანი ჰყავს ერს, იგი იმდენად მდიდარი და ძლიერია! გავა დრო, სრულყოფილ ცივილიზებულ საზოგადოებას შევქმნით და შენი ხელშეწყობით გამდიდრებული თანამემამულე შენ არა, მაგრამ შენს შთამომავლებს უთუოდ მიხედავს!

თუ დამიჯერებ, ასეა. ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდე, საჩივრით შენც იმას მიიღებ, რაც ამას წინათ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა მიიღო, — რა თქმა უნდა, წყენა! როცა საქართველოს რკინიგზამ ხელის ერთი დაკვრით ბილეთების ფასი 3 ათასი კუპონიდან ერთბაშად 300 ათას კუპონამდე გაზარდა, შიმშილით გონებამისუსტებულ პროფესორთა და დოცენტთა ერთი ჯგუფი გაბრიყვდა და სულ ხევით, მთავრობის პირველ კაცებს თხოვნა გაუგზავნა, გვიშველეთ რამე და ისე მოგვიხერხეთ, ჩვენი ერთი თვის ხელფასით ლანჩხუთამდე მგზავრობა შევძლოთო. როცა პასუხი **რკინიგზის მესვეურისგან** მიიღეს (ცხადია, დასაბუთებული უარი!), მთავრობის კაცთა ყურადღებით გულაჩუყებულ მეცნიერებს თვალზე ცრემლი მოადგათ და გულწრფელად მეწუხდნენ: უცხოელების უამრავი მიღებებითა და მასპინძლობით გართულ ჩვენს საფიცარ მოღვაწეებს ჩვენი განცხადების გაცნობასა და გადაგზავნაში დრო როგორ დავაკარგვინეთო.

არც ის გარემოებაა გასაზიარებელი, რომ ამ სამსახურის შესახებ ჯერჯერობით ყველაფერი არ ვიცით, და, შეიძლება, ზოგი რამ გზადაგზა დასამუშავებელ-დასახვეწი იქნეს. მაგალითად, არ ვიცით, 5000 კუპონი ერთი ცნობა ღირს თუ ორი ან სამი. ალბათ, ერთი ეღირება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სპეკულაციის წყარო გახდება. როგორ? სულ უბრალოდ: მე მაინტერესებს ქუთაისის მატარებელი, შენ — ბათუმისა. მე თუ ცნობათა ბიუროსაგან ორივეზე მივიღებ პასუხს, რა შემიშლის ხელს, ერთი შენ მოგყიდო, თუნდაც დაბალ ფასად? აქ უთუოდ საჭიროა ამ გამოგონების ავტორმა (თუ ავტორებმა) რაღაც დამცავი მექანიზმები შეიმუშაონ, თორემ, როგორც ეს სამგზავრო ბილეთებზე ხდება, ქორვაჭართა ხელში მან შეიძლება ასტრონომიულ ფასებს მიაღწიოს.

ისე კი, შემოსავალი რომ მეტი იყოს, ტარიფები აუცილებლად უნდა გაიზარდოს. გარეუბნის მატარებელთა ცნობებზე, ერთხანს მაინც, შეიძლება კუპონები დარჩეს, მაგრამ უფრო შორს მიმავალ მატარებლებზე, თუ კუპონი მართლაც გვსურს გავამაგროთ, უთუოდ საჭიროა რუსული რუბლები და ამერიკული დოლარები მოვითხოვოთ.

დამეთანხმებით, ფასიანი უნდა გახდეს იგრეთვე რკინიგზის სატელეფონო ცნობათა ბიუროც (ვთქვათ, ტალონების წინასწარი გაყიდვით), თორემ ეს ჩვენი ბიურო სულ მალე გაკოტრდება.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ხელთა გვაქვს საუკუნო გამოგონება და მას ათვალწუნებით ცქერა და ჩივილი კი არა, გულში ჩახუტება უნდა. ჩემი ღრმა რწმენით, განვითარებული ქვეყნები ამ გამოგონებას კისრისტეხით შეისყიდიან და ჩვენი ეკონომიკა წელში გაიმართება. თუ ღმერთი გაგვიწყრება და ეს საუცხოო გამოგონება უცხოური აღმოჩნდება, როგორც ფასიანი საპირფარეშოები, გულის გატეხა მაინც არ გვმართებს, ფასიანი საპირფარეშოები კარგახანია მოქმედებენ და, უეჭველია, ამ შემთხვევაშიაც ასე იქნება!

ბორის დარჩია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ჩოგანი

კენჭისყრა გაიმართა

შვეიცარიაში უეფას შტაბბინაში, გაიმართა ევროპის საკლუბო გუნდების თასების გათამაშებათა კენჭისყრა. თბილისის „დინამო“ დაუშვეს უეფას თასზე. მისი მეტოქე იქნება რუმინეთის ქალაქ კრაიოვას „უნივერსიტატია“. პირველი თამაში გაიმართება 9 აგვისტოს თბილისში, მეორე — რუმინეთში 23 აგვისტოს.

„შოტოკან კარატე დო“-ს თბილისელი მიმდევრები

პროფკავშირების კულტურის სახლთან რამდენიმე თვეა, შეიქმნა „შოტოკან კარატე დოს“ მცირე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ატესტირებული მწვრთნელი, შავი ქამრის მფლობელი, სპორტსაზოგადოება „ერქვანის“ თავმჯდომარე გრიგოლ დარჩიაშვილი.

კარატეს ჯგუფი, რომელსაც „მომავალი თაობა“ ჰქვია, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში. ჯგუფი სექტემბერში მიწვეულია შეჯიბრებაზე თურქეთში, სადაც მშობლების დახმარებით მიემგზავრებიან; თუმცა სპონსორი რომ ჰყავდეთ, უფრო მეტი კონტაქტების საშუალება ექნებოდათ.

არ გეშლებათ არჩევანი
მოგებაა „არჩევანი“!

„არაგვი ბიზნეს ბანკი“
ფირმა „ზერო“

სიახლე ლატარეის გათამაშებაში
ლატარეა „არჩევანი“!
პოტენციურად იგებს ყველა ბილეთი,
თუ კი თქვენ სწორ არჩევანს გააკეთებთ.
რისკი — მხოლოდ $ 0,5,
შესაძლო მოგება — $ 500.
შეძენილ ბილეთში მოთიშულია მხოლოდ ერთი უჯრა,
გადაშალეთ იგი და ნახავთ ერთ-ერთ რიცხვს:
0001 0002, 0003, 0004, 0005, 0100, 1000
თქვენ მოიგეთ!

მოგების ოდენობა შეადგენს ბილეთის ღირებულებას, გამრავლებულს თქვენს მიერ გადაშლილ მომგებიან რიცხვზე. გადაშლილ უჯრაში 0000-ის გამოჩენისას, თქვენ არ იგებთ, მაგრამ დანარჩენ უჯრებს გადაშლით შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ერთ-ერთ მათგანში აუცილებლად წერია მომგებიანი რიცხვი, რომელსაც თქვენ ვერ მიაგენით.

ხუთჯერად ოდენობამდე მოგებული თანხები გაიცემა ბილეთის გაყიდვის ადგილებზე, ასჯერადი და ათასჯერადი მოგებები კი - მხოლოდ „არაგვი ბიზნეს ბანკში“, 1994 წლის 1 ოქტომბრამდე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 16
(მშენებლობის სამინისტროს შენობაში)

მოგება არ გაიცემა თუ ბილეთი ყალბია, დაზიანებულია, გადაშლილია ერთზე მეტი უჯრა ან წარწერა — „არ გადაშალოთ“.

ბილეთის ფასია..........$ 0.5 (გინდ გჯერა, გინდ არა)
შესაძლო მოგება კი........$ 500 (ეს ხომ ფულია!)
(ბილეთები იყიდება დოლარის შესაბამის კურსით კუპონებში)

ხსოვნა

თამაზ [illegible]

საყვარელო თამაზ! ერთი წელიწადი მიიწურა, რაც შენ აღარ ხარ ამქვეყნად, [illegible] შენი დაღუპვის ამბავი. [illegible] ნაადრევად შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე.

შენმა დაღუპვამ თავზარი დასცა შენს მშობლებს, საყვარელ ცოლ-შვილს, ერთად-ერთ ძმას და დას, ძმისწულებს, ახლო ნათესავებსა და მეგობრებს.

თამაზ! რაც აფხაზეთში ომის ქარცეცხლი დაიწყო, შენ იქიდან ფეხი არ მოგიცვლია, სამშობლოსა და მის ერთიანობას შესწირე თავი, დასტოვე დატანჯული დედ-მამა, საყვარელი ცოლი, შვილები დათო, ირაკლი და პატარა ლაშა, რომელიც სხვებთან ერთად ყოველდღე გკითხავს, სიგარეტს უკიდებს „პაპიკოს უნდაო“ იძახის.

თამაზ, ჩვენო სიკეთით სავსე ვაჟკაცო! უშენოდ ძალიან [illegible], შენი ძმა და ჩვენ შენს ოჯახს არაფერს მოვაკლებთ, მაგრამ რაგინდ ვეცადოთ, ბავშვებს მამისეულ სითბოს ვერ [illegible]
ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ჩვენო საყვარელო [illegible]
მსუბუქი იყოს შენი ტანჯული სხეულისათვის მშობლიური მიწა.

შენგან ტანჯული [illegible] შვილი, და-ძმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების კათედრის გამგე, პროფესორი

თენგიზ გეგელია.

საქართველო-თურქეთის
eurobank
ერთობლივი
კომერციული ბანკი
„ევრობანკი“
აგრძელებს სავალუტო ანაბრების მიღებას
აშშ დოლარებში შემდეგი პირობებით:
✦სამთვიანი ხელშეკრულება
— დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 5%.
✦სამთვიანი ხელშეკრულება
— დივიდენდის სამი თვის შემდეგ გატანით — თვეში 7%.
✦ექვსთვიანი ხელშეკრულება
— დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 6%.
✦ექვსთვიანი ხელშეკრულება
— დივიდენდის ექვსი თვის შემდეგ გატანით — თვეში 8%.
იურიდიულ და კერძო პირებს ბანკი გთავაზობთ
ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებას.
ერთობლივი ბანკის სოლიდური საწესდებო
კაპიტალი თქვენი ანაბრების საიმედო გარანტიაა.
ჩვენი მისამართია:
ჰ. გამსახურდიას გამზ. 25.
ტელ: 22-16-07, 22-04-11, 37-42-17.

ფირმა „ატლასი“
ვაწარმოებთ ბინებისა და ოფისების
ხარისხიან რემონტს უმოკლეს ვადებში.
ვამზადებთ ნაძვის მასალის
კარ-ფანჯრებს.
ტელ: 37-25-15

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 21 ივლისიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	629, 306. 94	კუპონი
ავსტრიული შილინგი	78, 891. 04	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1, 344, 883. 70	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	269, 355. 44	კუპონი
გერმანული მარკა	555, 052. 06	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	494, 913. 67	კუპონი
დანიური კრონი	141, 292. 31	კუპონი
100 იტალიური ლირა	55, 591. 39	კუპონი
კანადური დოლარი	624, 908. 54	კუპონი
ნორვეგიული კრონი	126, 759. 75	კუპონი
აშშ დოლარი	861, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	167, 686. 97	კუპონი
ფრანგული ფრანკი	161, 904. 51	კუპონი
შვედური კრონი	111, 925. 75	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	658, 006. 94	კუპონი
10 იაპონური იენი	87, 518. 02	კუპონი
ეკიუ	1, 058, 945. 09	კუპონი
10 ესპანური პესეტა	67, 385. 56	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	36, 724. 11	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	1, 319, 826. 39	კუპონი
ისლანდიური კრონი	12, 740. 93	კუპონი
ქუვეითური დინარი	2, 913, 211. 33	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	5, 132. 88	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	54, 058. 74	კუპონი
სინგაპურული დოლარი	570, 085. 59	კუპონი
10 თურქული ლირა	280. 21	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	254, 169. 07	კუპონი
რუსული მანეთი	425. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	215, 475. 00	კუპონი
ლატვიური ლატი	1, 581, 467. 50	კუპონი
ესტონური კრონი	69, 453. 50	კუპონი
10 უკრაინული კარბოვანეცი	204. 00	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	19, 550. 00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	212, 814. 50	კუპონი
ყირგიზეთის სომი	76, 274. 75	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	314. 50	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

გიწვევთ სასწავლებლად!

საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, იურიდიული, ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობა, სამედიცინო ეკოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ტურიზმის მართვა და ორგანიზაცია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა (დაწყებითი სკოლა).

ყველა სპეციალობაზე მისაღები გამოცდები ტარდება ტესტირების წესით.

საბუთები მიიღება ა/წლის 10 ივნისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით, დილის 10 საათიდან 15 საათამდე. კონსულტაციები ჩატარდება [illegible] აგვისტომდე, მისაღები გამოცდები 10-15 აგვისტო.

ბრძანება ჩარიცხვის შესახებ გამოქვეყნდება 18 აგვისტოს. სწავლება დაიწყება 17 სექტემბერს.

უნივერსიტეტის მისამართია: თბილისი, დოლიძის ქ. № 3, მე-2 სართული, ტელეფონი: 36-11-42. ტრანსპორტი: მეტრო „პოლიტექნიკური“.

რექტორატი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible].